

ლიტერატურული საქართველო



ლიტერატურული საქართველო * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

25 მარტი 2022წ. №4 (4039) გამომცემის 91-ე წელი ფასი 1 ლარი

Слава Україні! Героям слава! გმირობა როზე გებია



გრძელდება რუსეთის აგრესია უკრაინაში. დღითიდღე იზრდება ომის მსხვერპლთა რაოდენობა. სამხედროების გარდა, იხოცება მშვიდობიანი მოსახლეობა. მარტო გუმინი 121 ბავშვი დაიღუპა და 167-მა სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო.

ამავე დროს, პენტაგონის ინფორმაციით, რუს სამხედროებს უკრაინაში საკვებისა და საწვავის პრობლემები გაუჩნდათ. პრობლემები აქვთ ზუსტ მართვად საბრძოლო მასალასთან მიმართებითაც. სამხედროებს არ აქვთ თბილი ტანსაცმელი და ამ მხრივაც დისკომფორტს განიცდიან. აქვთ სერიოზული დანაკარგები.

თუმცა, რაც უფრო უჭირთ, რუსები მით მეტი გააფთრებით იბრძვიან ქალაქების ასაღებად. აიღეს მელიტოპოლი, ბერდიანსკი, ხერსონი. ბომბავენ კიევს, ხარკოვს, მარიუპოლს...

ვითარებას ამკარად ეტყობა კრემლის უცვლელი პატრონის ხელნერა: სისასტიკე, ნგრევა, დამინება. მაგრამ საქმე ის არის, რომ უკრაინელებს აღარ ეშინიათ და იბრძვიან სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

გუმინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა რუსეთის წინააღმდეგ დამატებითი სანქციების დაწესებას მოახერხა ხელი. სანქციებს შეუერთდნენ ევროპელი მოკავშირეებიც. რუსეთს უკვე იმდენი სანქცია აქვს დაწესებული, რომ გულივერით არის მიწაზე დაბმული, მაგრამ ხელისუფლება ჯერ არ იმჩნევს, ვითომც არაფერი

ხდება. ამ დროს მოსახლეობამ იგრძნო და ვისაც შეუძლია, ქვეყნიდან გარბის, ვისაც არა, ზის და ძლევამოსილ გამარჯვებას ელოდება. მაგრამ რა იქნება ეს გამარჯვება, რას მოუტანს რუსეთს, არავინ იცის.

რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ არ იცის არც იმ მარადიულმა უფროსმა - პუტინმა, რომელიც მიხვდა, რომ მსოფლიო შეშინებულია ბირთვული ომის საფრთხით და ყოველ გამოსვლაში იმრისხანებს და ისასტიკებს სახეს, ყოველშემდეგ მბრძანებლად წარმოადგენს თავს, სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარად არის. თავისი მოქმედებით იმდენი ზიანი თუ ზარალი მიყენა რუსეთს, რომლის მსგავსი მსოფლიოს არცერთ ქვეყანას არ განუცდია - დააკანონა საყოველთაო რუსოფობია და რუსეთი აქცია „ნონ გრატად“, ანუ, უარგონით რომ ვთქვათ, ქვეყანა-გოიმად, რომელსაც მსოფლიო უნდობლობის დამლა ძალიან დიდხანს არ მოსცილდება. ერთი ჩვენი ცნობილი პოეტის მოსწრებული ნათქვამისა არ იყოს, რაც რას-პუტინმა დააკლო რუსეთს, პუტინმა შეუსრულა.

რუსი მწერალი ალექსეი მოტოროვი წერს, რომ ომი უკრაინაში ეს არის ომი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ და მას აწარმოებს პატარა მელოტი, რომლის მიზანია, შური იძიოს მსოფლიოზე საკუთარი არარაობის გამო.

რუსმა მწერლებმა, ჟურნალისტებმა და თეატრის მოღვაწეებმა გაავრცელეს წერილი, რომელშიც ითხოვენ, რომ რუსეთმა შეაჩეროს სამხედრო აგრესია უკრაინის წინააღმდეგ. „ომი უკრაინის წინააღმდეგ - ეს არის სირცხვილი, ჩვენი სირცხვილი, მაგრამ, სამწუხაროდ, პასუხისმგებლობის აღება მოუწევთ ჩვენს შვილებს, სრულიად ახალგაზრდა თაობებსა და იმ რუსებსაც, რომლებიც ჯერ არ დაბადებულან. ჩვენ არ გვიწინა, ვცხოვრობდეთ აგრესორ ქვეყანაში... ჩვენ არ გვჯერა, რომ დამოუკიდებელი უკრაინა საშინაოებს წარმოადგენს რუსეთისთვის ან ნებისმიერი სხვა ქვეყნისთვის. ჩვენ არ გვჯერა ვლადიმირ პუტინის განცხადებებისა იმის შესახებ, რომ უკრაინელი ხალხი იმყოფება „ნაციისტების“ ტყვეობაში და საჭიროა მათი „გათავისუფლება“.

განცხადებას ხელს აწერენ მიხაილ ზიგარი, ბორის აკუნინი, დმიტრი ბიკოვი, დმიტრი გლუზოვსკი, ვლადიმირ სოროკინი, ივან ვირიპაევი, ვლადიმირ მიროზოვი, ანდრეი ხრუჩანოვსკი, ილია ხრუჩანოვსკი, დმიტრი მურატოვი, ლეონიდ პარფიონოვი, ირინა პროხოროვა, ჩულპან ხამატოვა... უფრო ადრე რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ გამოვიდნენ ცნობილი სახეები: ივან ურგანტი, ზემფირა, ვალერი მელაძე, ელენა კოვალსკაია, მაკარ ზაპოროვსკი და სხვები.

დიახ, ორი რუსეთი არ არსებობს. რუსეთი ერთია, ოღონდ მისი მომავალი პუტინისტებს კი არა, ამ კეთილი ნების ადამიანებს ეკუთვნით, რომლებიც ძალიან ცოტანი არიან, მაგრამ მოვა დრო, მათი რიცხვი გაიზრდება, რადგან კეთილგონიერება სიგიჟეზე მეტია, სამართლიანობა უსამართლობაზე მეტია, მშვიდობა ომზე მეტია.

ნოდარ წულეისკირი - 90 ხმაურიანი სიბუჯის უხმაურო ოსტატი

ნოდარ წულეისკირის ცხოვრება და შემოქმედება ერთი მთლიანობაა, რომელიც ორი საწყისის - ნიჭისა და ბედის ტრაგიკული ურთიერთქმედებით არის შექმნილი. ცნობილი ქვეშეღობიანობა, სადაც ნიჭია, იქ ბედი არ არის. ტალანტი თვითდადგინებას ბედთან ბრძოლით იწყებს და ამთავრებს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ბედს თვითონ აქცია ზურგი და აირჩია წუმი, თავგანწირული შინაგანი კვეთების გზა და ალბათ ეს იყო მისი ხასიათიც.








ნოდარ წულეისკირი ქმედითი სიტყვის ოსტატია, საგანთა გამგე და მცნობელი, დაფარულის ამომხსნელი და განმმარტებელი.

ქმედებათა და ცნებათა შუაგულში ხედავდა მთავარს და ძალისხმევას იქით მიმართავდა. ჯერ კიდევ როდის დანერა „ღვანლი და წამება აბოსი და იოანესი“ - რომანი წამებულთა ღვანლზე, ეროვნულ-სარწმუნოებრივ გმირობაზე. მაშინ ამ თემებზე წერა არათუ არამოდური, საშიშიც კი იყო. მან პირველმა შენიშნა და წარმოიდგინა, რომ აბოს წამების შემდეგ უნდა ეწამებინათ თვით მწერალი, იოანე საბანისძე. მწერალი, ეროვნულობის მეტაირახტრე, თავისუფლების მქადაგებელი, რომლის სულიერი ნატეხი ჩვენს დროში, სოფლის უბრალო მასწავლებლის, პანტე ჯაბავას არსებაში განსხვულდება, რათა უკომპრომისო, შეუპოვარი, თავდადებული ბრძოლით მიიტანოს მსხვერპლი ქვეყნის საკურთხეველთან („დავით აღმაშენებლის ქვა“).

მასში ყოველთვის მღვიძარება სინდისი - მამხილებელი გონება, რომელიც იძლეოდა საფანელს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისათვის. ამ მოტივაციებით იყო ნაკარნახევი მისი რომანები: „თუთარჩელა“, „ზესნახესა და ბუძგურიას სიყვარულის ამბავი“, „აფთრები“, რაღა თქმა უნდა, ამასთან ერთად, პუბლიცისტური წერილები და საჯარო გამოსვლები.

ნოდარ წულეისკირი - ხმაურიანი სიტყვის უხმაურო მწერალი.

ვაჟა ბეთანელი

<p>რეზო ჭიჭვილის ბახსენება</p>  <p>ვაჟა რეზო ჭიჭვილისა</p> <p>83.4</p>	<p>ახალი მოთხრობები</p>  <p>ვანო ჩხიკვაძე</p> <p>83.6-7</p>	<p>შტრიხები მსახიობის პორტრეტისათვის...</p>  <p>მანანა ტყეშელაშვილის რეჟისაჟისა</p> <p>83.9</p>	<p>ჩემი ყოვლადკეთილი ბიძა</p>  <p>ვაზილ ისკანდარი</p> <p>83.10</p>	<p>სუთქვა მიაქვს ლარწმის ღარის</p>  <p>ნოპო შურცია</p> <p>83.12</p>
--	---	--	--	---



დისკუსია „დარჩენული დღეების“ შესახებ

ამ ბოლო ხანს განახლდა დისკუსია „დარჩენული ციკლის“ სახელით ცნობილი ლექსების ავტორის ვინაობის თაობაზე. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ლექსები „ელენე დარიანის“ ფსევდონიმით 1915-1924 წლებში გამოქვეყნდა. ლექსები 1955 წლიდან პაოლო იაშვილის რეაბილიტაციის შემდეგ გამოცემულ მის კრებულებში შევიდა. დავა „დარჩენული დღეების“ ავტორის შესახებ წარმოიშვა 1990-იანი წლების მიწურულს, როდესაც გამოჩნდა გიორგი ჯავახიშვილის პუბლიკაციები – მან გიორგი ლეონიძის სახელ-მუხეუბში დაცულ მასალებზე დაყრდნობით დარიანული დღეების ავტორად არა პაოლო იაშვილი, არამედ ელენე ბაქრაძე-ქართული ინტელექტუალური მიჩნია. ქართველი ლიტერატურათმცოდნეთა უმრავლესობამ არ გაიზიარა ეს აზრი და მის გაბათილებას მათი მხრიდან არაერთი გამოკვლევა თუ საჯარო გამოსვლა მიეძღვნა.

პრობლემამ ელენე დარიანის საკითხის ფემინისტური თვალთახედვით გააზრების ცუდეგად, 2013 წლიდან დატოვა ლიტმ-ცოდნეობის საზღვრები და თანდათან საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა. ამჟამად საზოგადოებაში მიმდინარეობს დისკუსია, რომელშიც სხვადასხვა, ურთიერთდაპირისპირებული პოზიცია გამოკვეთილი: ერთნი ემხრობიან ქართულ ლიტმცოდნეობაში ტრადიციულად დამკვიდრებულ აზრს, რომ „დარიანული დღეების“ ავტორი პაოლო იაშვილია, შესაბამისად, „ელენე დარიანი“ მისი ფსევდონიმია. ამ პოზიციაზე მდგომნი არ გამოორიცხავენ, რომ ელენე ბაქრაძეს, რომელიც ახალგაზრდობაში პოეტთან ამურულად იყო დაკავშირებული და შერჩა მეტსახელი „ელენე დარიანი“, ამ ციკლის ლირიკული პერსონაჟის პროტოტიპობა ეკუთვნოდეს. ამ აზრს ისინი გამოთქვამენ სხვადასხვა, ინდივიდუალური მოდიფიკაციით. მეორენი ელენე დარიანის ლექსების ავტორად ელენე ბაქრაძე-ბერიშვილ-ქართველიშვილს ასახელებენ და მიიჩნევენ, რომ პაოლო იაშვილმა ლექსები მიითვისა. ზოგის აზრით კი, ეს ლექსები ელენე ბაქრაძის და პაოლო იაშვილის ერთობლივი შემოქმედებაა, ხოლო ელენე დარიანი – მათი საერთო ფსევდონიმი.

„კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი“ – კავკასიური სახლი“ მკვლევრებს, ლიტერატურათმცოდნეებს ინვესტ მონაწილეობის მისაღებად 12 აპრილს დაგეგმილ კონფერენციაში სახელწოდებით „დარიანული დღეების ავტორის ვინაობა“. მოგვიანებით საკონფერენციო მასალები გამოქვეყნდება კრებულის სახით.

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველებმა თეზისები უნდა გამოგზავნონ ელფოსტის მისამართზე: marika.tkeshelashvili@gmail.com საკონტაქტო პირი: მარიკა ტყეშელაშვილი. ტელ. 593 784311. თეზისების მიღების ბოლო ვადაა 1 აპრილი.

დათო მალრაძის „ბარაქიანი მინა“ შესახებ ენაზე იტყობენ

გამომცემლობა „ენდიმიონმა“ დათო მალრაძის „ბარაქიანი მინა“ ამაზონის საიტზე განათავსა.

ნიგინ თარგმნა ფერნანდეს ფრანცეს მაიტემ. „ბარაქიანი მინა“ ამაზონის საიტზე ფრანგი პოეტის ვერონიკა ბერგენის შემდეგი ანოტაციით არის განთავსებული: „დათო მალრაძე, აერთიანებს რა პოეტურ სიტყვას მეტაფიზიკურ არტერიასთან, ის მას მრავალმხრივ ენობრივ რეგისტრში ატარებს. პოეტი მიმართავს როგორც ჩვენს შეგრძნებებს, ასევე, ჩვენს ინდივიდუალურ და კოლექტიურ მესსიერებს. ციტატები ელიოტის „ბერნი მინიდან“ და მალერის ნაწარმოებიდან „სიმღერა მინაზე“ გადაფარულია ბერნი მინის ბარაქიან მინად გარდაქმნის პოეტური, პოლიტიკური და კოსმიური იმედით. ამ ტექსტუალური და ეგზისტენციური ტრანსფორმაციის ბოლოს ბარაქიანი მინა გადაიშლება, რომელიც ხელახლა შედის ჰარმონიაში სიცოცხლესთან, მატერიის ფორმებთან და სულიერებასთან, წმინდასთან და თავისუფალთან“.

დიდაზული ნიგინი

არ მეგულება მეორე ქართველი პოეტი, ასე სიღრმისეულად ნაკითხული და მთელი სისავსით აღქმული, როგორც ტერენტი გრანელი ნაუკითხავს რეზო ადამიას;

უდავოდ, დიდებული ნიგინა რეზო ადამიას „სისხლიანი ცრემლი“;

ესაა ნიგინი, სადაც გვერცხული პოეტის სიდიადის გადმოცემაში ერთმანეთს ეჯიბრებიან ესეისტი და გრაფიკოსი, კალამი და ყალამი და სადაც, რაც მთავარია, ერთიცა და მეორეც, ესეისტიცა და გრაფიკოსიც, უდიდესი წარმატებით ართმევენ თავს საკუთარ მისიას: მკითხველის თვალწინ მკაფიოდ იკვეთება უაღრესად ადამიანური და ზედმიწევნით ნათელი შემოქმედის მდიდარი სულიერი სამყარო.

ერთი სიტყვით: ვისაც სურს, ტერენტი გრანელის სიდიადეს ეზიაროს, ხამს, გულდასმით ნაკითხოს რეზო ადამიას „სისხლიანი ცრემლი“.

მუხრან მაჭავარიანი
7.VII.08. თბილისი

ამ წერილს ეპიგრაფად წამძღვარებულ დიდი პოეტის სიტყვებში ნათლად ჩანს, რაოდენი რუდუნებით ეკიდება ბატონი რეზო ადამია ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების განსჯა-ანალიზს, ჩვენ კი ამჯერად მის ახალ ნიგნზე გვინდა ვითხრათ ორიოდ სიტყვა.

„ქართველმა ინტელიგენციამ ბევრი მძიმე განსაცდელი გადაიტანა ორი უკანასკნელი საუკუნის მანძილზე, მეტად ბევრი მსხვერპლი გაიღო. ნემსის ყუნწში გაძრობაც მოუხდა, ცეცხლთან თამაშიც, მუნჯი ბარაკადის როლში ყოფნაც, მაგრამ მის საუკეთესო წარმომადგენლებს არასოდეს დაუკარგავთ ღირსების მაღალი შეგრძნება“, – წერდა გურამ ასათიანი და ამ სიტყვებით სხვა დიდქართველებთან ერთად კონსტანტინე გამსახურდიასაც მიაგებდა პატივს, კონსტანტინე გამსახურდიას, რომლის თავზეც, ავბედითი ეპოქის წყალობით, ნისქვილის ქვა დატრიალდა, დააპატიმრეს 1922, 1924, 1926 წლებში, 1937-ში კი ორივე ძმა დაუხვრიტეს. თავად მუდმივი განქიქებისა და შიშის ატმოსფეროში უხდებოდა ცხოვრება და მაინც ჯიქურ იმეორებდა: „ნეტარ არიან იგინი, ვისაც სიკვდილი უმაღლესს ვიდრე საკუთარი თვალთ იხილავდნენ სამშობლოს თვისის იავარყოფას.“

ნეტარ არიან იგინიცა, ვინც გულმართალ ნინაპართა აჩრდილებს შორის ლანდად ქცევას არჩევენ გადაშენების გზაზე დამდგარ თანამემამულეთა ნიაღში ყოფნას.

ვაი მათ, ვისაც იერემიასებრი გოდება წილად ხვდეს სამშობლოს თვისის დარღვეულ გოდოლთა და ნაცინართა შორის“. სამშობლო იყო დიდი მწერლის უპირველესი საფიციარი, მისი შემოქმედების თავწყარო, მისი უკვდავების გასაღები.



კავკასიისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების რეგიონულ საგამომცემლო კონფერენციას თბილისი უმასპინძლებს

11-12 აპრილს, საქართველოს ნიგინის გამომცემლობა და გამავრცელებლობა ასოციაციისა და „თბილისი – ნიგინის მსოფლიო დედაქალაქის“ ერთობლივი ინიციატივით, გაიმართება კავკასიისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების რეგიონული საგამომცემლო კონფერენცია. რეგიონულ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, თბილისის ოცდაათამდე გამომცემელი და სფეროს წარმომადგენელი ესტუმრება არა მხოლოდ კავკასიისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებიდან, არამედ ევროპიდან და ამერიკიდან. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ გამომცემლობა მსოფლიო ასოციაციის (IPA) წარმომადგენლებიც. კონფერენცია, ძირითადად, პანელ-დისკუსიების ფორმატში წარმართება და განხილული იქნება სფეროსთვის საინტერესო და აქტუალური საკითხები. ღონისძიებას სასტუმრო „რუმის“ საკონფერენციო დარბაზი უმასპინძლებს.

კონსტანტინე გამსახურდიას უნებლიეთ ილია ჭავჭავაძის გრიგოლ ორბელიანზე დაწერილი სიტყვები გამახსენდა: „ის იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ სასოებით მისი მსმენელი“

კონსტანტინე გამსახურდიას უნებლიეთ ილია ჭავჭავაძის გრიგოლ ორბელიანზე დაწერილი სიტყვები გამახსენდა: „ის იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ სასოებით მისი მსმენელი“.

ამ ნიგინის ნაკითხვისას უნებლიეთ ილია ჭავჭავაძის გრიგოლ ორბელიანზე დაწერილი სიტყვები გამახსენდა: „ის იყო მოძღვარი ჩვენი და ჩვენ სასოებით მისი მსმენელი“.

რეზო ადამიას უმშვენიერესი ნიგინი „კონსტანტინე“ სწორედ მოძღვრისადმი სასოებითა და სიყვარულით სავსე ლაღადისია; როგორც თავად წერს: „ტანჯვა-წამებით და უზომო სისხლის ფასად მოპოვებული საქართველოს დამოუკიდებლობის დამარბეველ-დამწყობი ლენინური პარტიის წევრი და კომკავშირელიც არ ყოფილვარ, ამიტომაც გავებედე, შუუდარებულ პატრიოტ კონსტანტინე ბატონის შემოქმედებაზე და მოგონებაზე ნიგინი დამენერა“.

გაბედა და უფაღიც შეენია – კონსტანტინე გამსახურდიას უზადლო პოეტრეტი შექმნა, არც ფერთა სიუხვე დაბეჭურა, როგორც ფერმწერმა, არც ჯადო-სიტყვები, როგორც მწერალმა.

გენიის სასწაული კი მხოლოდ ერთი ქვეყნის ანდა მხოლოდ დედამინის მშვენება როდია, რეზო ადამიას რწმენით ის „მარადისობისა და კოსმოს-უფლის საკუთრებაა“. „აგრე მგონია, კონსტანტინე ბატონი კვლავ ცოცხალია, იმდენად დიდი და უსასრულოა მწერლის სისხლსავსე შემოქმედება, თითქოსდა ისევ ღვთივკაცურად დაბრძანდება ამქვეყნად...“

რეზო ადამიას შესანიშნავ თხზულებას კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების განხილვასთან ერთად მშვენიერებასა და გამორჩეულ ელფერს მატებს ავტორის მოგონებები, თუ როგორ ეწვია სამხატვრო აკადემიის სტუდენტი კოლხურ კოშკში სიტყვის დიდოსტატს სახატავი ტილოთი და საეტყუდეს ყუთით. კოლხური კოშკის ჭიშკართან შეჩერებული, იქნებ, გულში ზღაპრის გმირივით იმეორებდა: „სეზამ, გაიღე“ და კარიც ზღაპრულმა ფერიამ, კონსტანტინე გამსახურდიას დისშვილმა თათია ხაინდრავამ გაუღო.

არსება იმზირებოდა, სასიამოვნო სიზმარით გამომეცხადა და ჩემკენ წამოცუნცულდა უწერილესი ფეხი შვი შუა გაყოფილი კობტა ჩლიქებით, ნიბ-ნიბის უნაზეს ხმის გამოცემით და მშვიდი სიფრთხილით მომიახლოვდა. კეთილი სულივით წინ დამიდგა და ღვთიური ნდობით მიყურებდა.

სურვილით გვერდზე გაისიერებდა. თან ვფანტავიორბობ; ბატონი კონსტანტინეს შინაგანი სამყაროს იდუმალ-განწმენდილი სივრცე დაპყვებოდა ამ ბუნების სიმდიდრე არსებას-მეთქი“, – ასე დიდოსტატურად ხატავს, აჩუქურმებს რეზო ადამია ნიგინის პირველივე ფურცლებიდან ბოლო ამოსუნთქვამდე თითოეულ არსებასა თუ საგანს, მოგონებასა თუ ნაფიქრ-ნაოცნებას. ახალი ნიგინის ღირსებაზე ისიც მეტყველებს, რომ წინასიტყვაობის ავტორები აკადემიკოსი როინ მეტრეველი, სიტყვის დიდოსტატი რევაზ მიშველაძე და ჟურნალ „ოლეს“ მთავარი რედაქტორი აკაკი დაუშვილი არიან.

„გვინდა აღვნიშნოთ, რომ რეზო ადამიას ნარკვევებში „შეხვედრა დიდ მწერალთან“ ახლებურად, ძალზე საინტერესო კუთხითაა შეფასებული დიდი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შემოქმედება. აქ ნათლად ჩანს მხატვრისა და მწერლის, რეზო ადამიას ღრმა ცოდნა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებისა და გამომდინარე აქედან, მკაფიოა, რომ ნარკვევი დიდი შემოქმედისადმი ზებუნებრივი დამოკიდებულებით, მოკრძალებითა და იგავიშუნდომელი სიყვარულითაა შექმნილი“, – ბრძანებს როინ მეტრეველი.

ფრიად საყურადღებოა ბატონი რევაზ მიშველაძის ნააზრევიც: „სახელგანთქმულმა მხატვარმა რეზო ადამიამ ამ ბოლო წლებში არაერთხელ მოასწრო ესეისა და პროზის ურთულეს ფანრებშიც ჩვენი გაოცება“.

მწერალი აკაკი დაუშვილი კი ასე აფასებს ახალ ნიგინს: „ესეიში ერთი გადაკითხვით რაც დავიხახე და განვიცადე, ის გადმოგვცით, სხვა სხვას დაინახავს და თავისებურად აღიქვამს. სწორედ ეს თვისება აქცევს ტექსტს მაღალ ხელოვნებად. ბატონი რეზო აფორიზმების ოსტატიცაა და ალბათ მკითხველი დაეთანხმება ლაკონურად გამოთქმულ მის ამ აზრს: „ხელოვნების ქმნილება არასოდეს იქნება შედევი, თუ მასში არაა კონსიუერი ჯადო-სხივი დაღვრილი.“

მე კი გემოვნებიან მკითხველს ვურჩევ რეზო ადამიას ახალ ნაწარმოებთან ზიარებას და „კონსიუერი ჯადო-სხივით სულის ავსებას“.

გაყვალა გონაპვილი

პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი

დასასრული დასაწყისი „ს“ №3

8

...
 ჯეიმზ ჯოისიდან (რომელმაც გავლენა იქონია მეოცე საუკუნის ყველა დიდი რომანისტზე) დაწყებული დღემდე შინაგან მონოლოგს, ასოციაციებს, ზოგადად, ცნობიერების ნაკადს პერსონაჟის ხასიათი, ინტელექტი, ფსიქოლოგიური მდგომარეობა, სამყაროსადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს. შეუძლებელია ინტელექტუალ სტივენ დედლოსსა და სწორხაზოვან ლეოპოლდ ბლუმს ერთნაირი ასოციაციები, შინაგანი მონოლოგი ჰქონდეთ. პოსტმოდერნის ეპოქაში ენის როლი განუზომლად იზრდება, ამიტომ ლექსიკას პერსონაჟის ხასიათის გახსნის ფუნქცია უფრო მეტად ენიჭება, ვიდრე სხვა ლიტერატურულ „იზმში“.

„შაშვი, შაშვი მაყვალის“ პერსონაჟი/ნარატიორი ძლიერი, მგრძობიარე, ბუნებასთან ახლოს მყოფი შუახნის ქალია. მან კარგად იცის, რა უნდა ცხოვრებისგან, საკუთარი სხეულის ენაც ესმის და მისი მართვაც შეუძლია, ხაზგასმულად გრძნობს თავის უპირატესობებსაც. გარეგნული რყევების მიუხედავად, ცხოვრებამ მაინც ვერ გატეხა, ვერ დაანგრია. მეტიც, ერთგვარი სულიერი სიფაქიზე და მგრძობიარეობაც კი შეუნარჩუნა. ჩრჩილის ხმა და ძაღლების ლაღავი, ობობას მიქსოვ-მოქსოვილი ქსელი მარადიულობის, ცხოვრების უწყვეტობის განცდას უჩენს, შაშვის გლოვობაც განსხვავებულად ჩაესმის და ორგანოსაც „ძველქართულად“ „ნეტარყოფობას“ უწოდებს. ამგვარი ქალისთვის არაბუნებრივი მგონია, სკაბრეზი, არანორმატიული, უმანური ლექსიკა. არა იმიტომ, რომ ზოგადად უცენზურო მეტყველების წინააღმდეგი ვარ ან მორალის პოზიციიდან განვიხილავ ამ საკითხს, უბრალოდ, ვფიქრობ, რომ მთავარი პერსონაჟის ხასიათის გახსნას არაფერს სძენს სასქესო ორგანოების პირდაპირი სახელდება, მეტიც, პერსონაჟისთვის ეს არაორგანულია. შესაძლოა, მწერალს ამით ეთეროს თავისუფლებისა და წინააღმდეგობრივი ბუნების აქცენტირება სურდა, თუმცა ეს დამაჯერებლად ვერ მოახერხა.

ვფიქრობ, გადაჭარბებული ნატურალიზმით თამთა მელაშვილმა უფრო საკუთარ გამბედაობას გაუსვა ხაზი და მკითხველი კიდევ ერთი გამონევის წინაშე დააყენა, რადგან ტექსტის მხატვრული კანონზომიერებით ამ არჩევნის ახსნა ძნელია. მით უმეტეს, რომ ეთეროს მეტყველება, სიტყვისადმი ფაქიზი დამოკიდებულების მაგალითებით, პოეტური პასაჟებით, ალიტერაციებითაც კი გამახსოვრებს თავს.

9

რომანისთვისაც არ არის უცხო სოციალური და პოლიტიკური დისკურსი. არაერთი აქტუალური თემა გვხვდება: ქსენოფობიური, ნაციონალური ინფანტილიზმი (ეთეროს დედა თამარაშენელი ქართველი იყო, მაგრამ ომის დროს რამდენჯერმე ორზროვნად ჰქითხეს, დედაშენი ოსი არ იყო?), პოლიტიკური (მამა 40 წელი მუზეუმში მუშაობდა, მაგრამ მთავრობამ, სხვა „ჩარეცხილების“ მსგავსად, ისიც მოიშორა), ეკლესიურ-სარწმუნოებრივი (მეუფე, ახალგაზრდობაში, ეთეროს ძმის მეგობარი იყო და არც ყაჩაღობა,

არც ნარკომანია არ ასცდენია. წესის ასაგებად ან სხვა ეკლესიური რიტუალების ჩასატარებლად მხოლოდ მდიდარ და გავლენიან ოჯახებში დადის) და ა.შ.

თუმცა დისკურსთაგან ყველაზე ღრმად გააზრებული, მწერლისთვის ყველაზე ბუნებრივიც,

მამა ოჯახის ერთადერთი წევრია, რომელთანაც მთხრობელს ხანმოკლე სიხარული, ერთობა აკავშირებს: თოვლიან ამინდში ერთად დააბურეს ჩიტები, მეტი სიხარული მისგან არც ახსოვს. ერთიანობის ეს წვრილი ძაფი ნამდვილად არ არის საკმარისი

გამომდინარე, ეს ძნელად მისახვედრია).
 მწერალი ამბროლაურში დაიბადა, მისი სურვილი, რაჭაც მონიშნულიყო ქართული ლიტერატურის რუკაზე, სახვებით ბუნებრივია, თუმცა ამის ამოცნობა ეთეროს ლექსიკით ან ქცევით

დასასრული. ორსულობა არათუ არ შედიოდა ქართულ გეგმებში ინტუიციურადაც არ დაუშვია ამის შესაძლებლობა, ერთი ნუთით არ უფიქრია თავის დაცვაზე. ძნელი წარმოსადგენია, რომ მან შეძლოს ყველა წინააღმდეგობის დაძლევა და გაბედოს პროვინციულ ქართულ ქალაქში არაკანონიერი შვილის გაჩენა. გამოკვეთილი შინაგანი პროტესტიც ექნება, ვერ შეეგუება იმ აზრს, რომ მისით არ დასრულდება ოჯახის ისტორია, ვერც შვილს გაიმეტებს მიიმეცხოვრებისთვის, „მინდა ახლა მე თავისტიკვილიც?!“ – ისევ აქტუალური იქნება...

მე, როგორც ერთ მკითხველს, მსურს, ეთერომ საკუთარი თავიც დაამარცხოს და საზოგადოებრივი აზრიც. ასე მგონია, ვილაცხვებურუნვა, სიყვარული ყველაზე მეტად სჭირდება, ეს გადაარჩენს, მაგრამ იმასაც ვხვდები, რომ ეს პრობლემის ჩემუელი, ტრადიციული გადაწყვეტაა. ერთი რამ ცხადია, რომანის ბოლოს ეთერო შენი ახლობელი ხდება. მისი მომავალი გაფიქრებს, გადარდებს, რაც, უდავოდ, მწერლის გამარჯვებაა, მაგრამ ასეთი ავტორებისგან მეტი მოლოდინიც მკითხველის უფლებაა.

გაუცხოებული, ბეტონად ქცეული დიდი და ცივი ქალაქის მინისქვეშა გადასასვლელში მჯდომ მათხოვართან, ბოგანოსა და მსხემთან, ნაპოვნი ტკბილი სიტყვა, თავშესაფარი ამ რომანის მთავარი მესიჯია: ადამიანი ყოველთვის ადამიანად რჩება და ყველაზე დიდი ციხესიმაგრის ამგებსაც სჭირდება თანადგომა, მხარდაჭერა: „ამ ქალის ხელს, ანგელოზის ხელს, ჩემ ლოყაზე დადებულს, მეც ხელს მოუჭერ“.

ეს წიგნი უამრავი მარტოხელა, დაუცველი, საზოგადოების ქირქილისა და ძალადობის პირისპირ დარჩენილი ქალისთვის განვდილი ხელია.

14

რომანი 14 ფრაგმენტადაა დაყოფილი. მეც ვეცადე, 14 პასაჟად ჩამომეყალიბებინა ჩემი სათქმელი თამთა მელაშვილის „შაშვი, შაშვი, მაყვალზე“. უდავოა, ეს არის ჩვენი ლიტერატურის კიდევ ერთი მენისტრიმული ტექსტი, მისი ავტორიც მოთხოვნადი და კითხვადი იქნება სწორედ კლიშეების, ტაბუების მოშლის, აკრძალული თემებისა და ლექსიკის გააქტიურების გამო. ვფიქრობ (მეტიც, დარწმუნებული ვარ), მას შეუძლია უფრო პრეტენზიული და გემოვნებიანი მკითხველის მოთხოვნების დაკმაყოფილებაც, ლიტერატურის კომერციალიზაციაზე ამაღლებაც, კარგი მთხრობელიდან კარგ რომანისტად ქცევაც, რისი პოტენციალიც პირველი რომანის („გათვლა“) გამოქვეყნებისთანავე ცხადი იყო; ეთეროს ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ პროვინციული მარტოხელა ქალების სუბალტერნულ ხმად ქცეულიყო, მაგრამ ასე არ მოხდა...

როგორც ევროპულ და მსოფლიო ლიტერატურაშიც, ჩვენშიც, წიგნის თაროებსა და მკითხველის მესხიერებას ის შერჩება, რითაც ფასობს ნამდვილი ლიტერატურა – დი(ა)დი თემები, ღრმა და სულიერი ნარატივები, კულტურული დისკურსები, რასაც ოდიოგანევი ერთგულდება ქართული მწერლობა.

ანგელოზის ხელი

თამთა მელაშვილის რომანი „შაშვი, შაშვი, მაყვალზე“



ფემინიზმია. საქართველოში ეს პრობლემა ნამდვილად არსებობს და ყველა ქალში, მეტ-ნაკლებად, ფემინისტი თვლემს. შინაგანი ეთეროსადმი საზოგადოების დამოკიდებულება არაერთხელ მენიშნა, რადგან მეც დიდხანს მომიწია ამ სტატუსით ცხოვრება. საკითხის ოდნავი უტრირების მიუხედავად („ზედ სასაფლაოს ცენტრში, ორ კაცთან ერთად, ვერ დაგვჯეგავდნენ მე და დედაჩემს“), ყველაზე საინტერესო რეფლექსია ფემინურისა და მასკულინურის დაპირისპირების ჭრილია, სხვა პრობლემები უფრო ნიუსურად, პოპულარული თემების ხარკის გადახდად აღიქმება.

მწერალი დევიდ ფოსტერ უილესი წერილში «E Unibus Pluram» („აშშ-ს ტელევიზია და პროზა“, 1990 წელი) აღნიშნავდა, რომ მეოცე საუკუნის ბოლო წლების ამერიკული ლიტერატურა თავისი ირონიულობითა და თვითმინიშნებით დაემსგავსა ტელევიზიას, რამაც გამოიწვია მისი გადახრა პოპულტურისკენ. ეს პროცესი შესამჩნევია ქართულ ლიტერატურაშიც. ტელევიზია, ზოგადად, ელექტრონული მედია, მთელ კულტურაზე, ენის განვითარებაზე ახდენს გავლენას. სატელევიზიო თემები პირდაპირ გადმოდის მწერლობაში. ეს პროცესი საკმაოდ კარგად აისახა ბოლოდროინდელ ქართულ ტექსტებში, რასაც ჩვენი სატელევიზიო სივრცისათვის დამახასიათებელი – ნეგატიური კონოტაციის მატარებელი ინფორმაციის სიჭარბეც დავით. ამგვარ ნაწარმოებებში კონტრაპუნქტი უფრო კოლაჟური გახდა, რაც აუცილებლად უნდა დაიძლიოს.

10

ენ. „ფემინისტურ“ ტექსტებში მამაკაცი, ძირითადად, სქემატურად არის დახატული ან სიღვია პლათის მამისა და ქმრის მსგავსად, ერთდროულადაა მოძალადეცა და მსხვერპლიც, სიძულვილისა და სიყვარულის ობიექტი, მოღალატე და ერთგული. თამთა მელაშვილის რომანში 55 წლის დისტრიბუტორზე ბევრს ვერაფერს გაიკვებ, პერსონალურობისაგან ისიც დაეცილია, მის ადგილზეც ნებისმიერი შეიძლება ყოფილიყო. ვიცით მხოლოდ, რომ, ქართველი კაცებით, მელოტი და ლიბანი არ არის, რომ ოჯახი და ტყუპი შვილიშვილი ჰყავს. ქართველთა უმრავლესობის მსგავსად, ისიც სამოვარზე იკარგება. ეთეროს დამოკიდებულებას მის მიმართ თავად ეთეროს შინაგანი ბალანსი განსაზღვრავს. ცხოვრებაში „მინდა-არ მინდა კაცის სიტყვა, კაცის ენაზე მორგებული“, თუმცა არა ამ ურთიერთობაში. აქ დომინანტი ქალია, ალბათ, იმიტომაც, რომ ამბავი ფემინისტური რაკურსით გვეუწყება და სქემატურობა-სწორხაზოვანებას ვერც ეს კაცი-პერსონაჟი სცდება.

ცხოვრების ასატანად, გასაძლებად: „ნაცარიც ხომ არავისი ხარ, ვინმემ დაგიტიროს“. სიკვდილისადმი ნაკლებად ტრაგიკული დამოკიდებულებისა და ნეიტრალური ტონალობის შენარჩუნების მიუხედავად, ეთეროსთვის საკუთარი გასვენებისა და დაკრძალვის დეტალები მაინც საყურადღებოა.

წიგნს საინტერესო იუმორი აქვს, მთხრობელის ირონიაცა და თვითირონიაც განსაკუთრებულია. პოლიციის უფროსის მოადგილე დაადგება მალაზიაში და დაძაბულად, დაბალი ხმით ეკითხება: „აფთიაქში შესვლა არ მინდა, ენაზე არავის დააკვდება და შენ აქ რამე, ისა... რამე კონდომები ხო არა გაქ გადანახული?“ ნაცნობი კაცების „განდაგან ძრომილის ისტორიები“ ეთეროსთვის საუკეთესო შურისძიებაა, გათხოვილი ქალების ყალბი ბედნიერების კიდევ ერთი დასტური.

11

პერსონაჟისა და ავტორის იგივეობის პრობლემა საქართველოში პოსტმოდერნის ეპოქაშიც აქტუალურია, ბარტისეული ავტორის სიკვდილის“ მიუხედავად. თამთა მელაშვილის პერსონაჟთა ასაკი მათი ავტორის ასაკთან ერთად იზრდება. სადებიუტო რომანში 13 წლის თინეიჯერებზე წერდა, ბოლოში – 48 წლის ქალზე, რაც სახვებით ბუნებრივია. სურს თუ არა ავტორს, პერსონაჟი მაინც მისი ფიქრების, პოზიციის ანარეკლია.

ქართულ მწერლობაში არავის ულაპარაკია შუახნის შინაგნის პრობლემებზე, საზოგადოების ქირქილსა და ორმაგ სტანდარტებზე, იმაზე რომ, არეულობის დროს, სწორედ ასეთი ქალები არიან ყველაზე დაუცველები, მარგინალიზებიც კი. ეთეროს ერთგვარი ირონია: „მსუბუქ მინაზე არიან მოყვანილი ეს იმერლები“, გაფიქრებინებს, რომ თერჯოლისა და ქუთაისის ხსენების მიუხედავად, ეთერო არ უნდა იყოს იმერელი (წერილი მზად მქონდა, როცა თამთა მელაშვილის ინტერვიუ ნავიკითხე, სადაც ავტორი პირდაპირ ამბობს, მოქმედება ამბროლაურში ვითარდება, თუმცა ტექსტიდან


12

ისევ პოეტური ფლერადობის სათაურს უნდა დაუბრუნდე: „შაშვი, შაშვი, მაყვალზე“, რომელიც ასოციაციურად ძალიან მაგონებს ნაირა გელაშვილის ბოლო რომანის სათაურს – „ჩემი თოკი, ჩემი ჩიტი, ჩემი მდინარე“. ეთერო ბუნების განსხვავებული განცდით ნამდვილად გამოირჩევა, მაგრამ ამაშიც მწერალს მკითხველი უნდა დაეხმაროს, რომელიც განებოვრებულია ქალი ავტორების შემოქმედებაში ამ თემის უფრო ფაქიზი (ოლესია თავაძის, ლეილა ბეროშვილის მინიატურები) და ინტელექტუალური გააზრებებით (ნაირა გელაშვილთან განსაკუთრებული სიღრმითაა დახატული პერსონაჟებისა და „უსულო“, „უენპირო“ ბუნების, მდინარის (ვერეს) ურთიერთობა). ეთეროს ხასიათის სხვა თვისებები უფრო აქცენტირებული ტექსტში, თუმცა მისი პერსონაჟის ამ მიმართულებით წარმოსაჩენად ავტორს ყველანაირი პირობა ჰქონდა.

„შაშვი, შაშვი, მაყვალზე“ არ არის ქვეტექსტური, იგავური რომანი, რომ მკითხველმა სათქმელი კონკრეტული შინაარსის მიღმა ეძიოს. მწერალი ტაბუირებულ თემებს ისე აშოშვლებს, არანორმატიულ ლექსიკას ისე ადვილად იყენებს, თავისი პერსონაჟისაგან განსხვავებით, ამისთვის არანაირი ნილაბი არ სჭირდება. თუმცა მგონია, რომ შემოქმედებითი ენერჯია ამ კუთხით დახარჯა მნიშვნელოვნად და სხვა, თავის მიერვე წამოწეული, თემები ნიუსის კონდიციაში დატოვა.

13

ფინალი რომანის გამორჩეული პასაჟია. გასაგებია ავტორის პოზიცია, ღიად დატოვოს ამბის



▶▶ გაგრძელება. დასაწყისი „სს“ №3

ქვეყნის კვიტივილი

ყველა წერილმანის აღწერა არ არის საჭირო. ყურადღება ცოტა ხნით სხვა რამეზე გადადის და თავმოქმედებული რეჟისორი განმეორავს მზერას მიმდევარ რეჟიზიტის გამგებობიდან მოსახსენილად გამზადებულს. წუთით გაუსაძლისი სინყნარე ჩამოვარდება. აქ მოქმედება უკიდურესად იძაბება, რაც მოთხრობაში შეუმცდარად შეფასებული და ზუსტად წარმოსახულია: „ეს სიჩუმი საველს რაღაც საშინელ სიცარიელედ მოეჩვენა. გადწყვიტა, დაემსხვრია სიცარიელე და შეემომშებინა, მართლაც არსებობდნენ თუ არა თვითონ და საგნები, რომლებსაც გარკვევით ხედავდა. შეინძრა, დაბარბაცდა და უნაიგრიანად გაგორდა სცენაზე. მიხვდა, რომ ეცემოდა, მიხვდა, რომ დაეცა, მაგრამ წამოდგომა არ უცდია“.

დანარჩენი თანმიმდევრობით, როგორც ხდება ხოლმე, ისე მოხდა. დირექტორმა საველ გიორგაძემ მეორე დღესვე დაიხარა, მოჩვენებითი ლმობიერება გამოიჩინა, ურჩია, განცხადება დაენერა და სამსახური საკუთარი სურვილით დაეტოვებინა. ეგონა, რეჟიზიტის გამგე მუხლებში ჩაუვარდებოდა, ხეინას დაუწყებდა, დამტოვებოდა, მაგრამ, მისი ვარაუდის საპირისპიროდ, საველემ იქვე დაუნერა განცხადება და თეატრს გაეცალა. დირექტორმა კი, ვითომ დიდი გამარჯვება მოიპოვა, თანამშრომლები იმავე დღეს ყოყორულად გააფრთხილა, ეს ამბავი სხვებისთვის მაგალითი იქნებაო.

აქვეა მოყოლილი, შენუხებული ავტორი როგორ გადაეყრება თეატრიდან წასვლის თითქოსდა გულგრილად, უდარდელად გადამტანს საველს და, გამოლანძრავს შემდეგ მისგან ბევრჯერ ნათქვამი თავის დამამაშვიდებელ მონოლოგს ისმენს: „...ანდა ამდენ ხანს რას ვუყურებდი, ნეტავი ვიცოდე... ხელში ოქროს ხელობა მქონდა და რავა შევაკალი იმ ბითურ თეატრს თავი... ჯამაგირი გაცილებით უკეთესი მაქვს, საღამოობით სახლში ვარ ცოლ-შვილთან... ანი, ძმაო, თუ თეატრში წასვლა მომინდა, ვიყიდი კარგ ბილეთს... მე შენ გეტყვი, არ იშვებოდა... შეველ შოგ, გზას ვერ გავიგნებ თუ რა?.. პალტოს დაეკიდებ შურასთან... მარგალიტას გამოვართმევ პროგრამას და დავუდებო კაცურად... ამდენ ხანს თუ მე მიყურებდნენ, ანი მე ვუყურებ სხვებს... ტყუილს ვამბობ?“

საველ გიორგაძე თეატრში ყველას უყვარდა, მოვლეთობის უმნიშვნელოდ შესრულების გამო პატივს სცემდნენ. გამოითქვა სამართლიანი უკმაყოფილება, რომ მისი თეატრიდან წასვლა არ იყო სწორი. ერთი თვე რომ გავიდა, ახალარჩეულმა პარტიკომმა სინანული გამოხატა. ადგილკომის თავმჯდომარეც ამავე აზრისა იყო. ოცდაათი წლის ნაამბავარი კაცი ასე უპატივცემულად არ უნდა გაგვეშვაო, აცხადებდა მთელი დასი და მთავარმა რეჟისორმა უკან დაიხია – თუ ასე გინდათ, დანეროს განცხადება, პირობა დადოს, რომ ნესიერად მოქცევა და დაბრუნდეს, სანინაღმდეგო არაფერი მაქვსო.

დაზამთრდა, დეკემბერი დადგა. ცივმა ქარებმა დაუბერა. ქუჩაში გამოსვლა არც ისე სასიამოვნო იყო. მოქალაქეებს პალტოს საყელოები ყურებამდე ჰქონდათ ანუული. თეატრიდან საგანგებო მისიით სამნი (თენგიზ ჩიქოვანი, მასავით ახალგაზრდა მსახიობი ხიხამუა და კომიკოსი ბარნაბა კეზევაძე) მიდიოდნენ, რათა განაწყენებული საველ გიორგაძე სამსახურში დაბრუნებაზე დაეყოლიებინათ. იცოდნენ, იმ დროს იგი ბიძამისთან იქნებოდა და


იქითკენ მიეშურებოდნენ. ოსტატის საკადრისი თვალსაჩინოებით არის დახატული მათი მეგობრის გამოცვლილი სამყოფელი:

„სახელოსნოს ღია კარს ქარი არ ხედებოდა. შოგ არ ციოდა. მომუშავე ხელოსნებს სცხელოდათ კიდევ. საველს სახელოები დაემკლავებინა და დაძარღვული იდაყვები უჩანდა. ხელში ხის დიდი ჩაქუჩი ეჭირა და პრიალა გრდემლზე გადაკეცილ ტყვიისფერ თუნუქს და ხის ჩაქუჩს სხვა მხრიდან ურახუნებდა. ნაცემი თუნუქი უკმაყოფილოდ ფრიალებდა“. დავაკვირდეთ ამ ბოლო უცნაურ, იდუმალბეჭითა და აუხსენელი პოეზიით გადინებულ პატარა ნინადადებას. ასეთი რამე მხოლოდ რეზო ჭიჭიშვილს შეეძლო დაეხსნა და გადმოეცა – უსულო საგანი კალმის ერთი მოსმით გაეცოცხლებინა. ამაზე მეტი სასწაული მწერალმა რა უნდა შეაძლებინოს სიტყვას!

თეატრი პირობის ენაზე

ნიგინდან „რეზო ჭიჭიშვილის გვერდით“

„ალ-რაზაკის სიკვდილი“



კარს მომდგარი სამეულის დანახვაზე საველემ მაშინვე თავი ანება მუშაობას, აფარებული ფეშტემალი მოიხსნა და მოსულეს გახარებული გაეგება. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ იმათ უთხრეს, დირექტორი თანახმაა შენს დაბრუნებაზე, ოღონდ განცხადებაში ფორმალურად ბოდიში მოიხადო. დამხედური ის კაცი არ იყო, სიტყვა უკან წაელო, საბოდიშო არაფერი ჩამიდენიაო და მათაც თითქმის იგივე უთხრა, რაც მანამდე მის „მემატიანეს“, ანუ ამ მოთხრობის ავტორს განუცხადდა. კეთილი მიზნითა და სურვილით მოსულეს ჭიჭის აუნელოდ ვერ გაუშვებდა, სამივენი ტაქსისში ჩასვა და შინ წაიყვანა.

სხარტად, მოქნილად არის დახატული მასპინძლის კარ-მიდამო. ალლო თუ გაქვს, ქართული ენა ყოველთვის ხელს გინყობს, ერთი სიტყვით გადმოსცე მთელი სახლობა, ჯალაბი. აქაც ასეა – მცირე აზვაცი ბევრ რამეს იტყვს: „საველსიანები შინ არ აღმოჩნდნენ. მეუღლე ჩვეულებისამებრ გვიან მიდიოდა, გვიან ბრუნდებოდა სამსახურიდან. ბავშვებიც ახლახან წასულიყვნენ სკოლაში. საველემ სტუმრებს ხელისგულისტოლა საგულდაგულოდ მოვლილი ეზო აჩვენა“.

სამივეს დაათვალიერებინა, სად რა ჰქონდა ჩათესილი თუ დარგული. ბიებქვეშ წარდის სათამაშო ადგილიც მოენიშნა. მაგიდას და სკამებს თავისი ხელით გააკეთებდა, ჩრდილში ჩადგამდა მზიან დღეს სიცხის ასარიდებლად.

ალაღად ეპატივება სამთავეს: „...პამიდორი რომ დამნიფდება, მოდი და ჭამეთ!..“ მყუდროდ, მოყურებულად რომ დამსხდარიყვნენ, დაბლა სართლის დიდი ოთახი შეარჩიეს. საველემ მისი ნახევალი ლუმელი დაანთო და სარდავიდან მისივე დაწურული ღვინით გალიცლიცებული, პლასტილინით დახუფული ათლიტრიანი ბოცა შემოიტანა, ტილოთი მტვერი მოაცილა.

მათრობელა, ცეცხლივით მაგარი ღვინის დანახვაზე თენგიზ ჩიქოვანი შეერთება, ამას რა დაცლისო.

ინც ბოდიშობს, სახელდახელოდ მეტი ვერაფერი მოიფიქრეო და იქვე გასამხნეველად დაატანს:

„...ამასობაში ცოლიც შემოგვესწრება, კაი ჭადებს დავაცხობინებ და რაღაცას სხვა რამესაც შემოგვაშველებს, აბა ისე რავა იქნება...“

უკეთეს ტაბლას წვეულები ვერც ინატრებდნენ. გაჩაღდება მამაპაპური სადღეგრძელოები. იწყება „მძიმე, ჩათლილი ჭიქებით“ დინჯი სმა. ყოველ დაცლაზე გაისმის დიდად სასიამოვნო ბარნაბა კეზევაძის დალოცვა: „...აშენდა ამის დამწურავი!“ ცხადია, სხვა ამბებთან ერთად საუბრის მთავარი თემა თეატრი იყო. საველს ნათქვამია – „მაგ კაცი მოკლავს თეატრს...“ მყისვე დაეთანხმნენ. ხიხამუამ ცალკე გამოიღო თავი, ნაიტრაბაბა, საველს უსამართლოდ დათხოვნისთვის როგორ შეახურეს დირექტორი. ბარნაბა კეზევაძემ თეატრის უსულგულო ხელმძღვანელის მიმართ უკმაყოფილება მისებურად, გადაკრულად გამოხატა:

„...კაცის დაფასება არ იციან, კაცის დაფასება, კაცის დაფასებას ცოდნა უნდა...“

საველემ იხტიბარი არ გაიტეხა, თქვა, რომ თეატრიდან წამოსვლის შემდეგ უკეთესად ცხოვრობს და მუდამ მოხარული იქნება, მათნაირ ხალხს უმასპინძლოს. ამას მოაყოლა რამდენჯერმე ნათქვამი, ამოჩემებული მონოლოგი და ძველი დრო სინანულით გაიხსენა:

„...მართალია, სცენაზე უფრო მეტად სხვას ვეფერებოდი, ანდა სულ არ ვჩანდი, მაგრამ თეატრისთვის მეც რაღაც ვაგაკეთე. ოცდაათი წელი არც ისე ტყუილად გადამიყურია, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ... უკანასკნელად ალ-რაზაკი ვითამაშე „ლალატში...“ რა პიესა იყო, ბიჭო! ვახსოვს, ბარნაბა, რა პიესა იყო? ვინღაა იმის დამწერი, გინდაც ვითამაშებელი და დამდგმელი?! ვახსოვს, ანდრო, ბარნაბა? ხუთი მოქმედება იყო სულ... თანდათან იძაბებოდა მოქმედება... მე მესამე აქტში მომკვლეს ქართველებმა, მაგრამ რა ვუყოთ...“ – საველემ გაჩუმდა, გაყურდა, ჩაფიქრდა. ღვინისაგან გაბრუნებულმა წარმოიდგინა, როგორ ეგდო მიმხრჩვალი და ხანჯალდაცემული ოდესღაც სცენაზე. მკვდარი იყო, მაგრამ ლაპარაკი მაინც ესმოდა.

აქვეა ჩართული, რა ხმები ესმოდა მას, როგორ ვერ ეთიშებოდა ნეტარ დროს, როცა უკანასკნელად ითამაშა „ლალატში“ ალ-რაზაკი. ახლაც ყურებში აქვს დაგუბებული თეატრის კედლებში მოგუგუნე ექო: „დარაჯი – აქ უყურეთ, ბატონო, ვილაც კაცი მოუკლავთ! მეორე დარაჯი – ალ-რაზაკია! ოთარ ბეგი – სწორედ ალ-რაზაკია, ჩქარა წყალი!“

ერთი დარაჯიდან – შოგ გულში აქვს ჩაცემული ხანჯალი... აქ ლალატია, ბალი უნდა დავიაროთ, შეველა გვინდა... ჰე, ვინა ხართ! საერთო ხმაური – ალ-რაზაკი მოუკლავთ... ალ-რაზაკი მოკვლეს!... ალ-რაზაკი მოკვლეს!... მესამე აქტში ქართველებისგან ალ-რაზაკის მოკვლა რამდენჯერმე განმეორებული, ყოველთვის ეპიგრაფს შეგვხასხენებს, როგორც ადრე ითქვა, განზოგადების დიდ ძალას იძენს, დამთრგუნველად ხშიანობს, სიმბოლურ მნიშვნელობას იკრებს.

ბოლო ათეულ წლებში ქრონიკის რამდენი სულისშემძვრელი კადრი გვინახავს – ახალგაზრდა, ყმაწვილი კაცი დაუნდობლად მანქანაში ჩაცხრილული ანდა სულაც ქვაფენილზე გდია და სისხლის გუბე აქვს შეყენებული. თითქოსდა გვესმის მათი უკანასკნელი ამონაკენსი: „ქართველებმა მომკვლეს!“ კაენის ცოდვის ყველაზე მიღვერი გამოვლინება ჩვენს უმადურ სამშობლოში იმ აუბედით წელს მოხდა, როცა სიონის ტაძარში ერის წინდა მამის, ილიას კუბო ესვენა და მისი ჩატეხილი შუბლი ყველას ამცნობდა: „ქართველებმა მომკვლეს!“ ვერაფერმა გვასწავლა ჭკუა, ვერა და ვერ შევიცვალეთ უკეთესობისკენ ზე და ვერ, ძველ ცოდვებს ახალს ვამატებთ, შეცდომას შეცდომაზე ვუშვებთ, ვკნინდებით, საველალოდ ვდებთ, კერპთაყენისმცემლობაც ვერ მოვიშლეთ და ასეთ ყოფაში რომელ მომავალზე შეიძლება ლაპარაკი სუბმათაშვილის ისტორიული დრამის, „ლალატის“ ზემოთ მოხმობილ ნაწყვეტში ნათქვამია, რომ ალ-რაზაკს „შოგ გულში აქვს ჩაცემული ხანჯალი...“ ხანჯლით გულგანგმირული კაცი, ცხადია, სიკვდილს ვერ გადაურჩებოდა.

ახლა ერთი, რამდენადმე საჩოთირო პარალელი უნდა მოვიტანო, რასთანაც რეზო ჭიჭიშვილის ამ მოთხრობამ, მასში გამოკვეთილმა საკანძო ადგილმა მიმიყვანა. სევეტონოსი თავის სახელგანთქმულ ნიგნში – „თორმეტი კეისრის ცხოვრება“ – აღწერს, სენატში შემოსულ ოლიუს კეისარს როგორ შემოარტყეს ალყა შეთქმულებმა. უჩინდან მიპარულმა კასკამ ყვლს ქვემოთ დაჭრა. კეისარმა ადგომა სცადა, მაგრამ მეორე დარტყმამ გააშუბა. ერთ-ერთ მკვლელში შვილივით საყვარელი, მისგან ნალოლიავები, დანინაურებული მარკუს იუნუს ბრუტუსი შეიცნო და სასონარკვეთილად შესახა: „შენაც, ჩემო ბიჭო?!“

რუბიკონის გადალახვებულ უნიჭიერეს და უმამაცეს მხედართმთავარს, ვინაც ყველაზე მეტად ღირსებას უფრთხილდებოდა, ტოვა თავსა და მუხლებზე წაუფარებია, რათა დაცემისას შიშველი ადგილები არ გამოსჩენიდა. არ დაუფერა თავის მესამე ცოლს, კალპურნიას, ვინაც წინა ღამით გრძნული სიზმარი ნახა, თუ კეისრის ქანდაკებას მთელი სხეულიდან როგორ მისჩქეფდა სისხლი. ოცდასამი წრილობა ჰქონდა მარტის იდებში ლარულად მოკლულს. მას არ დაუყვირია, ერთადერთხელ აღმოხდა თურმე კენესა. ვაჟის დათვლიერებისას ექიმს, ანტისტოისს, უთქვამს, ამდენი წრილობიდან მხოლოდ მეორე დარტყმა ყოფილა სასიკვდილო – გულში გარჭობილი ხანჯალი... ალ-რაზაკის ნაქცევას ოლიუს კეისრის აღსასრულს ძნელად თუ შევადრით, მაგრამ ერთ-ერთი დარაჯის ნამოძახილი: „შოგ გულში აქვს ჩაცემული ხანჯალი...“ როგორღაც ეხმინება ძლევამოსილი ლამქრობებიდან ტრიუმფით დაბრუნებული, თანამომქმეიავან უღმობლად გამეტებუ-

ლის და მერე ლმობიად გამოცხადებულის საშინელ ტყვეობა.

ამ ჩამოქცეულ ფონზე საველ გიორგაძის დანახვა სოცდაათი წელი არც ისე ტყუილად გადამიყურია, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, ვინაც „ლალატში“ უკანასკნელად ითამაშა ალ-რაზაკის როლი, სულ სხვანაირად უღერს; რამდენჯერმე დაფინებით გამოვრებული ფრაზა, რასაც ალ-რაზაკის განმასახიერებელი საველ გიორგაძე სხვადასხვა შემთხვევაში ამბობს (მე მესამე აქტში მომკვლეს ქართველებმა...), სამუდამოდ გვეტყდება ცნობიერებაში და ამან რაღაცაზე უნდა დაგვაფიქროს, რათა მტრის გასახარად ერთმანეთი არ დავხოცოთ.

„ლალატის“ ბოლო ნაწყვეტის გაღვევების შემდეგ, სადაც ზარივით რეკს შეძახილები: „ალ-რაზაკი მოუკლავთ... ალ-რაზაკი მოკვლეს!... ალ-რაზაკი მოკვლეს!... თენგიზ დადანი მღელვარებას ვეღარ იოკებს და განსაკუთრებული სადღეგრძელოს წარმოსათქმელად ჭიჭას მალდა ასწევს: „... მოდი, ჩვენ-ჩვენ უკანასკნელ როლს გაუმარჯოს!“

ბარნაბა კეზევაძეს დააეჭვებს „უკანასკნელი როლის“ ხსენება და ასხნას მოითხოვს, როგორ უნდა გაიგოს იგი.

სადღეგრძელოს ავტორი არ ეპუება შემკითხველს და თავის პათეტიკურად ნათქვამს ვოლუტად უბრუნდება:

„... ისე, უბრალოდ, ჩვენ უკანასკნელ როლს გაუმარჯოს! – გამოვირა თენგიზ დადანი და ყოველგვარი ასხნა-განმარტების გარეშე დალია ეს სადღეგრძელო!“ ნინამდებარე მოთხრობის ავტორს უყვარს ხოლმე სათქმელის ასე ლიად დატოვება, ზოგ რამეს იდუმალბეჭის საბურველში ხევის, მაგრამ, რასაც თენგიზ დადანი „ყოველგვარი ასხნა-განმარტების გარეშე“ ტოვებს, იმაზე ცოტა რამ მაინც უნდა ითქვას.

ახლა ისიც შეგვიძლია გავისინთო – რომელთა ყველაზე დიდ და ძლევამოსილ იმპერატორს ოქტავიანე ავეუსტუსს, თავისივე ეპოქის ლეთიკურთხილი პოეტების – ჰორაციუსის, ვერგილიუსის და სხვათა მეგობარს (მის კისერზეც ბევრი სისხლი იყო, მაგრამ უზარმაზარი იმპერიის მართვაში მეტოქე არ ჰყავდა), სიკვდილის წინ ახლობლებისთვის უთქვამს: „რას იტყვი, ხომ კარგად შევასრულე ჩემი როლი ამქვეყნიურ კომედიაში?“

შეცნობილი მაქვს – ალვა-ალვა მოთხრობის ჩარჩოებს გავცდი, თუმცა ამისკენაც რეზო ჭიჭიშვილის რთულმა, არერთგვაროვანმა ჩანაფიქრმა წამიბიძგა.

მეგობრებთან სასიამოვნო პურობის მერე საველ გიორგაძე საბოლოოდ მიეჯაჭვა ბიძამისის სახელოსნოს, თეატრში წასასვლელად ვეღარ იცლიდა. მისებურად სახელოებდაკანონებული, ფეშტემალაკრული ხის ვეება ჩაქუჩს გულმოდგინედ უხატებდა გრდემლზე გადაჭიმულ ტყვიისფერ თუნუქს და, ბუნებით სწრაფი, იქით გადალუნვდა, საითკენაც უნდოდა. ცხოვრების განვლო ეპიზოდს, როგორც ყველა ჩვენგანს გამოუვლიდა, თანდათანობით ლეჭ ფარავს და მასაც ასე დემარათა. ამას ბოლო აზვაცი მისებური დიდოსტატობითა და სხივმოსილებით გადმოსცემს ავტორი.

მე უფრო უკეთესს და შთამბეჭდავს ვერაფერს მოვიფიქრებ და, ამდენად, მორჩენია, ჩემი გადახვევებიანი, მაგრამ მაინც მთავარი მიზნისაკენ მიმართული დაკვირვებები ამ შორსმჭერტელურად დაქარაგმებულ მოთხრობაზე, რეზო ჭიჭიშვილისავე აფერადებული ხილვებით დავამთავრო:


„ხანდახან ძილში გაჩახახებულ თეატრს ხედავდა. თეატრი სანთლებით აელვებულ ეკლესიას ჰგავდა. ასეთი ეკლესია მხოლოდ ძალიან ადრე, ბავშვობაში ჰქონდა ნანახი. ამაზე შორს მისი მოგონება თუ მესსიერება არც მიდიოდა. სამაგიეროდ, თეატრში საკმელოს ნაცვლად მუყაოსა და ნების მშობლოური სუნის იდგა. საველ რატომღაც შემოთქმული იღვიძებდა, ზებუდოდა, რომ ყველაფერი სიზმარი იყო, რაღაცაზე გული წყდებოდა: იგონებდა თეატრს, იგონებდა ბუნდოვანად, როგორც რაღაც გარდასულს და ახსენებოდა, როგორ მოკვლეს ქართველებმა მესამე აქტში“. მივირდებო, თეატრი უფრო და უფრო მკრთალდებოდა და ბუნდოვანდებოდა მის ცნობიერებაში“.

▶▶ გაგრძელება იქნება

ვანო ჩხიკვაძე

ზამთარი

მოდის, ფაფუკი, ხვავრიელი, ეშვება ნება-ნება, გადაფარა ყველაფერი...



სევდიანი თვალები და დაშვებული ქუთუთოები წინასწარ ამზადებდა ჯადოქარ ხმას ამოსასვლელად: „ზამთარია!“

რბილი სიჩუმე გაგარინდებს და თავისთავად აგალიძნებს.

ჰამლეტ გონაშვილის ბრძნული სიდიდით, შეყრილი წარბებით, სუფთა, შთაგონებული, კრიალა,

დაიხვეწა, გამოჩურჭურებული მოვიდა ჩვენამდე. ბგერათა რხევა, ტონალობის ცვლა, მომღერლის გასაოცრად ქართული სახის ნაკვეთებზე ასახული, სულს შეგიგუბებს...

ნამდვილი ზამთარია, თვალის-მომჭრელი, გულუხვი თოვლით თავმოადგმული, დამშვენებული, არსაიდან ქარის ზუზუნი რომ არ მოისმის...

ჭკნარი, სურნელებად ქარგული ფარფატებს დაშვებული ფიფქების ხვეულეში...

ალარ არის ჰამლეტი, ალარც სხვანი, ქართული სიმღერის „იუველირები“, ჩუქურთმისმჭრელები.

ყალბი ტონალობა, სიმღერაშიც და კაცობაშიც მათთვის წარმოუდგენელი იყო!

მხოლოდ „ბაჯალლოზე“ მუშაობდნენ.

ალარ არიან, მაგრამ არის ზამთარი, ჩუმი მეტყველი და, რაც მთავარია, ღონიერი ჯაჭვივით უწყვეტი, ცოცხალი ხმა, უსასრულო წარსულში შობილი და უსასრულო მომავლისაკენ ამალღებული.

„ზამთარია!“

ნიზიოსოს

სასტუმრო „მოსკოვის“ წინასწარ, სამივლინებოდ დაჯავშნილ ნომერში ვიდრე გამამნებსებდა, სართულის მორიგე გამაფრთხილა...

შუქჩამქრალ ოთახს ფანჯრიდან შემოსული სინათლის მკრთალი შუქი ანათებდა. საძინებლის აქეთ და იქით, კედლებთან ორი საწოლი იდგა...

მარცხენა ჩემს უცნობ „კოლეგას“ აეთვისებინა და, რადგან მეტი არჩევანი არ მქონდა, მარჯვენა საწოლი მე უნდა დამეპავეებინა.

საძინებელ ვემზადებოდი, ლოგინში მობლუნკული კაცი რომ შეირხა, საბნისპირიდან ხელი გამოაცოცა და ტუმბოზე შემოდგმული ლამის ლამაზა აანთო.

მალე ამ ხელის პატრონიც გამოჩნდა - ჩემზე ასაკით უფროსი, ცოცხალი, მოძრავი თვალებით, ბურთითი ზედმინევიტ მრგვალი თავით და კუფიდან წინ წამოსული, მოკლედ შეჭრილი კუნაპეტი თმით.

გავეცანით ერთმანეთს. არც ჩემი დამხდური გამოდგა დილიქანსელი მძლოლი, ფრუნზიკა და არც მე დიდ ავიაციამ დაბრუნებაზე მეოცნებე ვალიკო, ასე, რომ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა ჩვენი მოსალოდნელი თავშესაქცევი ამბებით წინდაწინ ღიმილმორიულ მკითხველს.

მეორე დილით მალვიძებს, შვედური მაგიდა გველოდებოდა, თუ დავავიანებთ, ალარ მიგვიღებნო.

ბუფეტში ვისაუზნოთ-მეთქი. ბუფეტში უნდა გადავიხადოთ და იქ უფასოდ დავგაპურებენ... თანაც, მოგენონება, ისეთი ასორტიმენტიაო.

„კოლეგის“ რჩევა რატომ არ დამიჯდებოდა ქუბამი!

გამიძღვა და ჩამიყვანა, მგონი, ნოლ სართულზე, სადაც მართლაც გულუხვად „დახორაგებულ“ მაგიდა დავგვხვდა.

საწოლის მიწობელმა მაგიდას თვალი გადაავლო, შემოუარა, წამოკრიფა თევშზე სათალისა და ხიზილალას ბუტერბროდები (სხვებს თუ არ დაასწარი, ამით ვინ დაგიტოვებსო), გვერდზე მივდექით, ბუტერბროდებს წამეცხვაროც დავაყოყლოთ, კაკაოსთან ერთად და, ფოიეში ამოვედიო.

იმას ლიტერატორთა სახლამდე, მე უფრნალის რედაქციამდე, ერთი გზა გვექონდა.

გარეთ კაი მაგარი სუსხი ტუსავდა ჰაერს. ფოიეშივე, ხელჩანთიდან ამოღებული, გრძელი, ფოჩიანი კაშხს ბოლო ერთი ხელით შუბლზე მიიფარა, მეორეთი დაატრიალა, თავზე ჩალმასავით შემოიხვია და, რომ არ ჩამოსცურებოდა, ფოჩები ნახევრს შიგნით ამოუკეცა.

მორიგე პორტივ, ღიმილით ცერს მალლა უწევს, კარგიაო.

ეტყობა, წინა დღეებში, ამგვარად მორთვის პროცესში უკვე წახა.

გკითხე, მაგ წვალეებს, ქუდი დაგვხურათ, ხომ არ აჯობებდა-მეთქი.

აჯობებდა, მაგრამ ქუდთან დაკავშირებით ისეთი ისტორია გადამხდა, ნუ მკითხავო.

მეც არ ვკითხე, მაგრამ თვითონ მოსვენებდა?

მოსკოვი-ერევნის მატარებელი, კურსკის ვაგზალზე, ყოველთვის დაუგვიანებლად, პირველ ლიანდაგზე შემოდის! - მითხრა გამაფრთხილებელი თითის ქნევით.

ვაგზლის ადმინისტრაცია ტრადიციას ხომ არ დაარღვევდა, სამი დღის წინანდელ დილა-

საც, სადგურმა, მატარებელი, რომლის ერთ კუბეში ჩემი წუხელგაცნობილი მეგობარიც ბრძანდებოდა, დროულად და, რაც მთავარია, პირველ ლიანდაგზე მიიღო.

პირი აღრიანად გაიპარსა, მონესრიგდა, წამოკრიფა თავისი ხაბაკ-ხუბაკი, ჯერ უხმარ-დაუხურავი, ნუტრიის ბენვის ჩათბუნებული ქუდი თავზე მოირგო და ბარგიანად ტამბურში გამოვიდა.

მოსკოვს ხალხი როდის აკლდა, წინასახალწლოდ მით უმეტეს... ფიზიონომიაზე ვატყობ, ბაქანზე, ძირითადად, სულ რუს-სომხობა ირევა, ვაფაციცებულები ფანჯრებში ნაცნობ სახეებს ეძებენ... ვიდრე მატარებელი შეჩერდებოდა, ჩავეყიდე ვაგონის სახელურს, გადმოვიხარე და, სალაში, მოსკოვო, მზიური სომხეთიდან-მეთქი, მთელი ხმით დავჭექე... რა, არასწორად მოვიქციე?

როგორ გეკადრებთ, პირიქით...

კიდევ დავიძახე, ჰაეროვანი კოცნაც მივიყვოდე და, ხალხიდან ვილაღ მალალი, ქერათმიანი ახალგაზრდა გამომეპასუხა - აედევნა ვაგონს, დაგვეწია, ხელი ვითომ ჩამოსართმევად გამომინოდა, მე უფრო მეტად გადმოვიხარე, ის კი წამწვდა ქუდში, „спаси друга из братской Армении!“ - მომადახა და, ვინ შეასწრო თვალი, საით გავარდა... აკი გითხარი, ქუდი პირველად მეხურა, ერთი სეზონი მაინც მეხმარა... ჩამოვხტი გაცეცხლებული, ვეცი იქვე მოტრიალე მილიციელს, სტუმარს ასე და ასე მომექცნენ-მეთქი... შეწუხდა, აბა, გაიხედ-გამოიხედე, დააკვირდი, თუ ქურდას და შენ ქუდს ამოიცნობ, დაჭერა ჩემზე იყოსო... მეც სულელი, ვიყურები, ვაკვირდები, მაგრამ ხელს ვის დაადებ, ქუდებიც და ადამიანებიც ერთმანეთს გვანან...

თქვენც ნებისმიერისთვის „დაგედოთ“, ვისი ქუდიც მოგენონებოდათ.

გაეცინა. ჰოო, ერთი მართლაც მომენონა, ჩემსასაც კი სჯობდა, მაგრამ ისიც დამხვედრსომეხს ხურა.

მით უკეთესი, თორემ მოსკოვში რუსს ვინ დაგაჭერინებს, სომეხს კი, რამდენიც გინდა...

აბა, აბა, ქართველები კი არა ვართ, ერთმანეთს დავერიოთ, თქვენს „პირველს“ რომ არ ეცოდებოდათ და ციხეებში ნიხლებით გტენით!.. მომისმინე, ძმაო, ჩვენთან საპატიმროებში, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებ!.. მაშ!.. ვინმეს როგორ დაეჭერთ, თუ მართლა ქვეყანა არ დაქცია და კრემლის ყურამდე არ მიაღწია? Ты уш!.. თანაც, ვინც ქუდი მომტაცა, რუსი იყო და, მეუბნები ხელი სომეხს დაადრო?

რუსს არ დაგაჭერინებენ-მეთქი, კიდევ რომ მიაგნონ!

ნუ დაიჭერენ, მე ქუდი გამომიგზავნონ და... მილიციელს მისამართი დაუტოვე, მაინც, ყოველი შემთხვევისათვის... დიდი იმედი არა მაქვს, მაგრამ ხომ ხდება სასწაულები...

ხდება, მაგრამ დედამინის ერთ მეექვსედში არა...

რაც თქვენ „ნეგატიური მოვლენები“ აღმოაჩინეთ, მეტი სასწაული გინდათ? არა, მაინც რა მაგარი გამოგადგათ, ციხეებში თან სულ სიცილ-სიცილში მიგვერეკებათ...

მაგრად გადავივარა, ზოგადად, ჰოსის შთამომავალს, თუ რამე წყენა აქვს, გულის ჭვარტილივით, ბოლომდე სასტუმრო „მოსკოვის“ მისადგომებთან ამოებრტყა - თბილისი ქალაქს არამიანცებმა, მანთამოვებმა, ხუდადოვებმა დაამგვანეს, ვიდრე თქვენ ქონებას დროსტარებაში ანიავებდითო...


კიდევ კარგი, ის ქუდი ქართველმა არ მოგტაცათ, თორემ, ალბათ, ავლაბარშიც ალარ შეგვიშვებდით-მეთქი.

გამეღელეები ერთმანეთთან მოკამათე - მე და თავისი უცნაური თავსაბურავით გამორჩეულ კაცს ირონიული ღიმილით გვიყურებენ.

ქუდს შევიძენდი, მაგრამ რამდენიმე დღისთვის? სახლში ჩრჩილს შევაჭმევინო? რა ვიცი, კიდევ, თანაც ზამთარი როდის მომინებს ჩამოსვლა... რა ვქნა, რაც ჩვენ გვაქვს გადატანული, ამასაც გაეუძლებ...

მილიციელისათვის ქრთამი რომ შეგეთავაზებინა, იქნებ უფრო მოენდომებინა.

ეგ შემეშვებოდა? შევადლიე, ხუთივე თითი გავუშალე, ვანიშნე ამდენი მანეთით დაგასაჩუქრებ-მეთქი... ცარიელ ხელისგულს დახედა, ცოტა ხანს იფიქრა და, როცა ვიპო-



ვი, მერეო... მერე, მერე, მაგრამ თავი რომ მეყინებოდა? ბოლოს ეს მოვიფიქრე და, რა უშავს...

არც არაფერი, განსხვავებულია, ორი-გინალური...

მთავარი ეგ არის, ჩვენ გვიყვარს ორი-გინალობა! - ამინია ცერი და აბა, დროებითო, ერთმანეთს გამოვეთხოვეთ...

იმ ღამით აღარაფერი, არც სატრფოებისთვის დაგვირეკავს და, არც დიდი თეატრის წინ, ყვავილებით ხელში არ გავთოშილვართ - ვუყურეთ ტელევიზორს და ვწრუპეთ მშვენიერი სომხური „სამეფარსკვლავიანი“.

მეორე დილით, სასტუმროს ნომრიდანვე გაიყარა ჩვენი გზები.

ნაშუადღევს, როგორც კი კარი შევალე, პალტოს გახდაც არ მაცალა, დროზე მომხედე, თორემ გასკდა გულიო.

შევშფოთდი, რა დემართა-მეთქი. ოთახში ასეთი სურათი დამხვდა:

ზის იატაკზე, ზურგით თავის საწოლს მიყუდებული და ფეხებს შორის, ზედა, გრძელ-მკლავებიან, გადამოღებულ თეთრ საცვალ-პერანგზე დაკონსერვებული ხიზილალას შუშის „სამაროლები“ უყრია.

ამომხედავს და ხმას ვერ იღებს, მხოლოდ ხელით რალაცას მანიშნებს.

ვიფიქრე, ალბათ, ხიზილალა აჩუქეს და სიხარულით გული აქვს ცუდად-მეთქი. დაჯექიო.

მეც დავჯექი, ცალ მკლავში ხელგაყრილი, ათრეული პალტოიანად.

დღეს კიდევ რა დამემართა, რომ იცოდე... ოო, ვირზე უფრო ვირო! - შუბლზე გამეგებოთ მიირტყა ჩაბლუჯული ხიზილალას „სამაროლიანი“ მუშტი. - ჩემი საქმეები რომ მოვიტავე, უნივერსალ „ბავშვთა სამყაროში“ შევიარე, შვილიშვილს აქაურ, განსხვავებულ სათამაშოს მაინც წაუღლებ-მეთქი...

მწვანე ნიანგი? - რა ვიცი, რალაცას, მნიშვნელობა არა აქვს, ნიანგი იქნება თუ ალიგატორი... - მთავარია, მწვანე იყოს...

ჰო! ჰო! - მაცალეო, ამიქნია ხელი - ვიდრე სათამაშოების განყოფილებას მოვძებნიდი, საპირფარეოში შევიარე... საჭიროები-სათვის, რა... კარებში ვილაცამ მხარზე ხელი დამკრა, გვერდზე, კუთხისაკენ გამიხმო, თან ძებნილივით აქეთ-იქით იყურება და ყურში მეჩურჩულება, ხიზილალა ხომ არ გინდათო, იაფად, - ხელი დაჰკრა მხარვილივით გადაკიდულ მოზრდილ ზურგჩანთას... ფასი? ოთხი მანეთით, ფერი - ნითელი... მე შავი მერჩინა-მეთქი... შავს ნაახალწლევს გამოგიზავნი ერევანშიო, მიცნო, რა, სომეხი რომ ვიყავი...

ალბათ, აქცენტი!

ალბათ... ამოიღო ჯიბიდან ნიშუში და მაჩვენებს, ა, სულ ასეთია, ორმოცდახუთი ცალიო... მაგდენი არ მინდა-მეთქი... მილიცია დამდევს, აქ თითო-თითოდ ხომ არ გაყვით, არ გინდათ და... თან ვილაც მოვიდა, იმანაც შეთქმულივით წასურჩულა, იქნებ გამიჩრჩხო, კარგი ხიზილალა მინდა საახალწლოდ... აგერ, თუ ეს ბატონი-ამხანაგი დაგიტოვებს, შენ ნაილეო... ისიც გადაგა განზე, გველოდებო... ჩემზე ამანაც იმოქმედა, ბევრი ალარ მიფიქრია, ვიცი, ჩვენთან სამამე ფასშიც გაჭირდება შოვნა, მართლაც ჩალის ფასია... ახლა რაში ჩავეყარო, თან რომ არც გამოჩნდეს, ისეთი არაფერი მაქვს...

აქაც მარჯვედ მოვიქეცი, გავიძრე ვეშპრე, გავიხადე აი, ეს საცვალ-პერანგი, ჩავეყარე ჩქარა-ჩქარა, პირი მოვუკარი, მოვიკიდე ზურგზე და, ალარც ჩემი „საჭიროება“ გამხსენებია, ალარც ბავშვის... რა მითხარი?

მწვანე ნიანგი...

ჰო, ასოთხმოცი მანეთი ჩემი ხელით ჩავეთვალე... - ისევ შეანუხა შუბლი მუშტის ღონიერი მიკაკუნებით, - განმორებისას, აი, ეს ორმოცდამეექვსე შენი ფეშქაში იყოსო, თავიდან რომ მაჩვენა, ისიც გამომატანა და აქეთ მადლოდელი დავტრჩი...

ავიღე დახუფული „სამაროლე“, ვატრიალებ ხელში ხან ერთს, ხან მეორეს, ხან ოცდამეცხრეს, ხან ორმოცდამეხუთეს.

მერე რა გინდა, სარფიანად გივაჭრია და რალას ნანობ-მეთქი.

ეე, ჯერ სადა ხარ!.. მოვიტანე, ვიფიქრე, მუყაოს ყუთს ვნახავ, ჩავალაგებ, შევეკრავ და ისე წავიღებ-მეთქი... აი, ყუთიც ვიმოგწე, აქვე, სასტუმროში, ჩასაფენი ქალაქი, შესაკრავი თოკიც... გავხსნი პერანგის განასკვული სახელოები, ამოვალაგე შენაძენი და... ორმოცდამეექვსიდან ერთია მარტო ნამდვილი ხიზილალა, ბოლოს რომ მომცა...

გემოთი გასინჯე? როგორ გაიგე სხვადასხვა როა, ფერი, მარცვალი, თავსახური, თავისი წარწერებით, სულ ყველაფერი ერთნაირია და...

მთავარი ნიუანსი გამოგჩრა, რაც აი, ამ ნაბოლარას და დანარჩენ ორმოცდახუთს ანსხვავებს - ფასი!

კარგად დავაკვირდი და, მხოლოდ ამ ერთს აწერია, ღირებულება შეიდი მანეთი, დანარჩენებს, მანეთნახევარი, თან ისე, რომ ვერც შეამჩნიო, წერილი ასოებით.

თავიდანვე გენახა მაინც.

ვინ გაცალა!

ალბათ, ისიც თანამზრახველი იყო, ვითომ ყიდვა რომ უნდოდა.

რა თქმა უნდა!.. სადგურზე ქუდი დამანერეს, აქ ნაგავი შემომასალეს... რუსი თუ ასე გააფერისტდებოდა, არ მეგონა...

იქნებ რუსი არ იყო?

ნითური, ხუჭუჭა, დასპირტული ნითელი ცხვირისწვერით, ბალალაიკაზე დამკვრელს ჰგავდა... არა, რუსი თუ ასეთი ეშმაკი და მოძალადე გახდებოდა...

– ეშმაკი და მოძალადე რომ არ ყოფილიყო, ჩრდილოეთიდან რამ ნამოიყვანა, არარატთან რა უნდა? – ეგ თქვენს „ულვაშას“ ჰკითხე. – ჰო, აბა, საწყალი, „ულვაშამდე“ ვოლგის შუანელს არ გამოსცილებია!.. ისე, ყველანი რუსები არ ვართ, აბა, საზღვარგარეთ ჩვენი სახელით ვინა გვცნობს? გიშველა ღმერთმა, რომ ამოეთქვი, ცოტა გულზე მომეშვაო, ჩაიქნია ხელი და გადააღება ხიზილალა მაგიდაზე, მერე ჯიბის დანის წვერით „სამარჩილებს“ თავსახურავეებზე იუველირის სიფრთხილით დაიწყო ფასის ამოშლა.

გამიკვირდა, რატომ აკეთებ-მეთქი. – შინ რომ დაბრუნდები, მით უმეტეს მოსკოვიდან, ყველა ხელბეჭდი შემოგყურებს, აბა, რა ჩამოგვითხანო, შინაური, გარეული, მეზობელი, ნათესავი... ხო იცი, როგორ პრესტიჟულად უღერს, ხიზილალას რომ მიართმევ... ეს ფასი სულ ზედმეტია, რად უნდა იფიქრონ, რომ მეტი არ ღირს...

– ვინ იფიქრებს, ან ვინ დააკვირდება, როგორც შენ არ დახედე, ისინიც სახალწლოდ გახსნიან, თავსახურს სანაგვეში გადაუძახებენ და ისე მიირთმევენ, არც დაეჭვდებიან...

– ეე, ჩვენ კადრებს ცუდად იცნობ, ფასი ეწერება თუ არა, მაინც მკითხავენ, რა მიეცით... რაც მისაცემი იყო-მეთქი, ვეტყვი... ისე, რვა ვუთხრა თუ ათი?

– რა ვიცი, ლენინაკანამდე იმხელა გზა გაქვთ გასავლელი, მოიფიქრეთ, რომელს უფრო დაგიკვირებენ.

– ეგრე მოვიქცევი, იქამდე დრო მაქვს, მაგ საკითხს, ჯერჯერობით, ღიად დავტოვებ! – გაიცინა და, რჩევისათვის მადლობაო, მხარზე ხელი დამკრა.

ბუფეტში ვივასშმეთ. სართულის სამორიგეოში გასაღები უნდა ავიღო.

თვლი მორიგესთან მოსაუბრე, ახალი მოზინადრის რაფაზე ჩამოდებული ქუდისკენ გამექცა.

სურენს თითო ქუდზე ვანიშნე (ჰო, აქამდე „კოლეგის“ სახელი არ მითქვამს!). მოვიდა, დააკვირდა, თავი დამიქნია, ჩემიც; გარედან ზუსტად ასეთი იყო, მერე პატრონის ნებართვით შიგნითაც ჩახედა და იარლიყი მარცხენა, ორივე ერთი ნარმოებისააო.

ნამოსვლა რომ დავაპირეთ, პატრონს ჰკითხა, თუ გახსოვთ, რამდენი გადაიხადეთ ამ ქუდშიო.

როგორ არ მახსოვს, ოცდახუთი და კიდევ რაღაც „სჩემტაო“, უთხრა დარწმუნებით.

ლოგინში სურენმა იწვია, იწვია და ხელი ახლაც მაგიდის ლამპისკენ გააჩოჩა:

– გაიგონე, რა მითხრა, ოცდახუთი და „სჩემტაო!..“ მე რომ ქუდი მქონდა, მოსკოვი ნამოსვლამდე ჩამომიტანა სახლიკაცმა, კუბიშვიდან... ფული არ გამოურთმევია – „პრეზენტის“ ვარიანტში, მაგრამ მაინც დააყოლა, უბრალო არ გეგონოს, საფირმოა, ორმოცდაათი ღირს მაღაზიაშიო...

როგორც კი ნათურა ჩააქრო, მაშინვე ისევ ანთო და თითი დამიქნია, შენ კიდევ გააკვირდა, ფასები რად ნაშალეო, ვითომ ამას შუქჩამქრალში ვერ მეტყვიადა.

კარგად რომ დავფიქრდი და ავნონ-დავწონე, ბატონი სურენის სატყელო ამფურად გულში „გაგამართლე“, მაგრამ ხმამაღლა არაფერი მითქვამს.

ძილი ნებისაო, „კოლეგა“ დამემშვიდობა და, კედლისკენ გადაბრუნებულმა, მალე „საფირმო“ ხვრინვა ამოუშვა.

რეკლამითილი

– ხო იმდენი ქნა ამ ჩემმა პატიოსანმა რძალმა, რო გავიყარეთ, გავიდნენ ცალკე... ფიქტურათა, თორე, „კუნა“ ერთი გვექ, გაზი და საუზმე-სადილ-ვახშამიც... გასაგებია, ოჯახი და ცალკე, თავისთვის უნდათ, მაგრამ გუშინდელი ხო არ არიან, შვილიშვილები ჰყავთ უკვე – რამ დააგოეთ, ქაა, დილით მოადგები, კარი ჩაკეტილი აქვთ, წვანან... შუადღეა – წვანან... საღამოა – წვანან და, ღამე ხო, როგორც დაანესა ღმერთმა, წვანან და წვანან... როდის-როდის გამოვა ეს ჩემი პირლია, ვითომ ვაუკაცი, კმაყოფილი, დალილი, ჩამოჯდება ეზოში სამფეხაზე, აპკრავს ნეკზე ნამორდელ, მუჭყჩამკვედარ ფრჩხილს პაპიროსის „პაჩკას“ – დაიწვას მაგის მომგონი, მესამე კლასიდან რომ გაიზარა პირში, ველარ გაგაგებინეთ!.. ჯვანს



არ უფრთხილდება, ნუ უფრთხილდება, ვიბე მინც დაზოგოს... ეს ამოსანყვე-ტიბიც, აძვირებენ, აძვირებენ და ესეც

პოეტის წაკითხვა

ბიბლიოთეკა. სამკითხველო დარბაზში პოეტის თაყვანისცემლები შეკრებილან, ვისაც სად მოუხერხდა, იქ დამჯდარა, ზოგი დივანზე, ზოგი ძველი საბიბლიოთეკო ქსელიდან შემორჩენილ სკამებზე.

ოვალურ, ე. წ. გასაშლელ, მრგვალ მაგიდასთან, რომელიც „მეორე განყოფილებაში“ განსხვავებულ „ფორმაში“ განსხვავებულ „ფორმაში“ მოგვევლინება, ბიბლიოთეკის გამგე, მასპინძლის უფლებით, პოეტი და საღამოს ნამყვანი მოკალათებულან.

მაგიდის წინ თავისთავზე შეყვარებული, საყვავილედან ამოღებული ნარცისები ამოლაღანებულან, მაგიდის უკან კი, ალადასტურით სავსე, „ნაბელავის“ ბოთლები, მოფარებულნი დგანან და, მოცეკვავე ბიჭებივით ჩამწკრივებულები, საღამოს დამაგვირგვინებელი, თვიანთი „ნომრის“ გამოცხადებას ელოდებიან.

პოეტთან შეხვედრა, როგორც გვჩვენია, დათქმულ დროზე კარგა დაგვიანებით, მაგრამ მაინც დაიწყო.

დაიწყო ისე, როგორც „თავზეხელალებულ“ თავყვანისმცემლებს შემფერით და ეკადრებათ, მაგრამ მგოსნის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ ასეთი სასამოგონო „აქროტების“ მისაღებად მზად აღმოჩნდა და ყველა სიტყვა, წინადადება, ქება-დიდება, თავის ნერტილ-მიმიკებით და შორისდებულებით, პალადად, დედის რძესავით შეირგო.

პოეტს და მეზობლებს არა, მაგრამ დანარჩენებს გაგვიჩივდა – ისედაც უპავერო, მეტალო-პლასტმასით ჩაგამა-

ნულ-ჩაკეტილი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი კიდევ უფრო აუტანელი და გაუსაძლისი გახდა.

ხომ არ გეშინიათ, რომ მუხები გაფრინდებიან, ერთი ფანჯარა მაინც შეადეთო, ამოიკნავლა ვიღაცამ, მაგრამ ისე გაატარე მისი ნათქვამი, ეტყობა მართლა შემინდნენ, მუხებს ქოში უკუღმა არ ეყარათ.

ხუმრობა იქით იყოს და, მართლა ველარ ვიგებ, პირიდან ამომავალმა უფრო დაამძიმა პაერი თუ, იმ ოხშივარმა, საოფლე ჯირკვლების ფორებიდან რომ იქუხეს და ილიის მღვიმეებში გადმოიჩქეფეს.

ზოგიერთმა სიტყვაში გამოსულმა, როგორც კი ვალი მოიხადა, მოიბოძმა, მოიმიზეზა რაღაც და თავს უშველა. ჩემთვის გავიფიქრე – უფალო, კიდევ კარგი, გულში მართლა ერთმანეთზე რასაც ვფიქრობთ, შუბლის ეკრანზე არ გამოგვაფენ ხოლმე, თორემ ამ მამებელი ცრუპენტელობის მოსმენის შემდეგ, ხომ ნარმოადგენია, ის კომპარი, რაც აქ დატრიალებოდა-მეთქი.

– რა კარგად გამოიყურები, გენაცვალე! – მომესმა უქნიდან.

მოვიხედე. ხელში ტურზეზე სქლად პომადგადაღაბნილი დედაკაცი შემჩრა.

– „კარგად გამოიყურებიო!..“ შევათვალე ერთი ქალბატონი, – ნეტავი ცუდად როცა გამოიყურება, მაშინ როგორია-მეთქი?!

თუმცა, ავნონ-დავწონე და, ეს ტყუილი, რასაც პოეტს ეუბნებოდნენ, იმ ტყუილზე უფრო ასატანი, უკეთესი მომეჩვენა.

სჯობდა, ცხადია (დედა, რას დამგვანებიახარო!), ბრა-

უმეტესს, მით უმეტეს თუ „რეისში“ არ არის, ორი „პაჩკაც“ აღარ ყოფნის...

ჰოდა, ჩამოჯდება-მეთქი სამფეხაზე, გააფულიდა, დაიმშვიდება აჩოჩოლებულ გულსა და სახეზე ისეთი ნათელი გადასდის, გეგონება, ჩემ წუნთან რძალთან კი არა, მაშრიყის დედოფალთან ინვა... ცოტა ხანში გამობრწყინდება ეს ჩვენი მზეთუნახავიცა, დედამთილ-მამამთილის – ჩემი და ჩემი ქმრის ჯიბრზე, ისიც ნასიამოვნები კაცასავით გაიზმორება და კბილბზამტვრეული სავარცხლით უკან გადაიგულსავს ოქროსფერ დალაღებს... თმა კი არა, ქალო და... ძველი, ნახმარი ფეხსაცმლის ჩოთქით რამდენიმე ბუნუნლა შერჩა... ვიდრე რამეს ნათხაპნის, მანამდე უნდა ნახო – ეგეთია, ეგეთი, არ შეაფურთხებ, ადამიანო, ფურთხი რაა და, ფურთხს ვერ გაიმეტებ, ვერა!..

ეგრე აქ ხოლმე წყვილი წითლად დალუღუღებულ-დეტონირ-პირდაპირ საკვირველსა განკოროვანდა მოკნობა ამ ჯოჯოხეთის კულასა... არა, ნამდვილად რაღაცა აქმევს, ამის მეტი რა იციან დღევანდლებმა!.. მაშ რამ დაუბრმავა თვალები, ვაჟკაც კაცსა, რამა, გამაგებინეთ, ადამიანები არა ხართ?

– რა ვიცი, ე, შვილები კი ისეთები გამოუვიდათ, ლამაზები, დახატულები, ავი თვალთ არ ინახვიან.

– ვერ გაიგე რა გითხარი? დილითა, შუადღითა, საღამოთი, ღამე კიდევ – მით უმეტეს, რასაც ეგენი წვლობენ, დაიხატებოდნენ, მაშ რა იქნებოდა! – დედაკაცმა, გაბრაზებულ სახეზე, თითქოს თბილი წყალი შეისხა, მკრთალმა ღმილმა შეკრული კოპები გაასხენინა და ტურის კიდებში ჩაგუბდა.

უნინგივით დახლილ სიმართლეს.

კიდევ ეთქვა, ვინ დაუჯერებდა!

სიტუაციისათვის საჭირო, გამართლებული, მაგრამ მაინც ტყუილი – ტყუილია!

მას შემდეგ, რაც პირში მატყუარა სანოვარა ჩაგვიჩარეს, გულმოდგინეთ ვლოლ-ნით.

ვიცით, რომ ჩვენი მცდელობა ამაოა, წვეთსაც ვერ გამოვადენთ, მაგრამ არ გვეთმობა.

კიდევ რომ გადავადგოთ, ვიღაც მაინც დასწვდება, შაქარწყალში ამოავლებს და ხელახლა მიდის...

მერე როგორი ნუგბარია, მამებელი ტყუილი, პირში კი არა, პირდაპირ სულში დნება! განა პოეტს არ მოესხენება, ყველაფერი მესაფლავის ფეხნამოკრული, თავსახურზე დაბრახუნებული გოროხით რომ მთავრდება და, ადრე თუ გვიან, სიმართლე მაინც გაცხადდება, მაგრამ ესეც ადამიანია და ამასაც ფეხქვეშ გაგება და მუცლის ფხანა ურჩენია.

აბა რა გააძლებინებს და გააღვივინებს ამ მოსანყენ წუთისოფელს.

იქ მთავრდება-მეთქი! იქნებ იწყება? იწყება შუბლის პორტალოს ნგრევა და იმ მართალი, ფარული ჩანანერების გამოფერა, ამოკითხვა, რომლის გამოშვებულებაც, თავის დროზე, ყოვლისმთქმელმა და ყველაფრის მკადრებელმა ენამაც კი ვერ გაბედა.

ახლა მხოლოდ მუხების თვალის ამხვეე ტყუილზე ფიქრობენ, სიმართლეზე – არა! სიმართლე მხოლოდ პოეტის გვერდით მოკალათებულ თანამოკალმეს შეიძლება ნამოსცდეს, შინ დაბრუნებულმა, „ალა-ფურთხით“ შეყარაღე-



ბულმა და მეუღლის საზიარო ბალოშზე თავმიდებულმა ალაღად აღიაროს, იმ იდიოტის საღამოზე ვიყავიო.

მეუღლემ უთქმელადაც იცის, ვისზეა ბაასი, არ იკითხავს, სახელი არა აქვს „იმ იდიოტსო“ და აღარც იმით დაინტერესდება, მათი მამამარჩნალის მსგავსად, კიდევ რამდენმა დააჭოჭა ბიბლიოთეკის დარბაზი დიტირამებით, მეზობლები ენა-პირის რამდენი ფეკალური ჭა ყარდა, უპასუხისმგებლო ქება-დიდებათ შეწუხებული, თაროებში ჩარიგებული გენიოსების დამტყვერილი ტომეულების თანდასწრებით.

ამათი მაინც არ ერიდებათ, გაიფიქრებს გაკვირვებული, თვალგაფართოებული, დირექტორის კაბინეტიდან ტორტის გასაჭრელი დანის გამოტანა რომ ევალება...

გაკვირვებს, მაგრამ მალე ესეც შეეჩვევა – ქალაქს ლექსების ერთი მთხვეული ხომ არა ჰყავს, ღვთის წყალობით სხვების რიგიც დადგება, მოდის ოუბილენები, დაბადების დღეები, გამოდის ახალი წიგნები და გოგონაც გაინაფება სიცრუის მოსმენასა და შეთხზვაში. აბა რას იზამს, სულ ასე გაკვირვებული ხომ არ დარჩება? პირში ჩატენილ სანოვარას, ადრე თუ გვიან, გაუტვრინდება და ოუბილარს ერთჯერადი, სიფრიფანა თეფშით ტორტის ნაჭერს რომ მიანდის, მორცხვად ჩაიკნავლებს, მე თქვენი შემოქმედების თაყვანისმცემელი ვარო.

„მართლაო?“ – კიდევ ერთხელ გაიხარებს პოეტი და გოგოს გაბუშტული ბროწუნის მარცვლისტოლა ხალიანი

დავამოვიხედე მწყრების ქვითქვითი და პატარა გოგოს წკრილა ხმა: „ბაბო ოლა, დედამ, მანვინსდედა ხო არა გაქვთო!“

გოგოს ჯერ უბოროტო ძაღლის ყეფა გამოეხმაურება, მერე ოთახის შიგნიდან ქალის ხმა: – მტერსაც ნუ ჰქონია, გვაქვს, მაშ არა გვაქვს! – ხმის ტონალობაში ერთგვარი ირონია და საყვედურიც იგრძნობა, თქვე დალოცვილებო, რა გემართებათ, კარგმა დასახლისმა, ორი კოვზი მანვინს დედა, ოჯახში როგორ არ უნდა გადაინახოს და გამოილიოსო. არის შეგრძნებები, რომელთა ხელახლა განცდის, ტკბობის გარეშე სიცოცხლეს ფასი და მადლი ეკარგება... უცებ, მწყერი ფეხებთან ამომიფრთხილდა, ავარდა მალა, ვიდრე

ხეირიანად თვალს შევასწრებდი, სადღაც ქვემოთ ჩაქანდა, ჩაიყლაპა. ჩემ მიახლოებაზე სხვებიც აიჭრნენ, აიყოლიეს ქვითქვითი, შეატოკეს დღემდე ხელშეუხებელი, სსოვნაში გაბმული სიმბი.

ახლა ნადირობის სეზონია. ვიცი, ერთი ჩემი ნაცნობის მსგავსად, მრავალნი როგორ ემზადებიან, აპრილენ ბენ თოფებს და გემავენ მეძებრებს, რათა მთელი წლის სისხლმონყურებულებმა ნადირობის ყინი მოიკლან. ნუთუ ველ-მინდვრებს მოდებულებს, ეს ქვითქვითი ისეთს არაფერს გაახსენებთ, სასლეტზე გამოდებულ თითს რომ აუკანკალებთ და სროლას გადააფიქრებინებთ?

მხატვარი იაგო ნიკოლაძე

მწყრების გაცნობიერება

გაჭიანურებული სიცხების შემდეგ უცებ აგრილდა. შესცივდა, გაიცრცა ფერდობებს მოდებული სიმწვანე.

ციხისკენ ამავალი ქვაფენილის ორივე მხარეს, ქარის დაქროლაზე მუხლამდე ბალახის მწვანე ტალღები ერთმანეთს ეხუტებიან.

ყანგისფერი კედლის გაყოლებაზე ჩამომსხდარი ლომმძვრალეების ყვირის მალე უცხო ხმებიც გაერია – ბალახში მიმალული მწყრების მონატრებულმა ქვითქვითმა ბავშვობის მინდვრების სურნელით გამაბრუა,



თითქოს სახურავიდან ჩამონადენი, ზაფხულის თბილი წვიმის ქვეშ ვდგავარ, ვილუმები და ამღვრეულ გუბები მოსხმარტალე ფეხისგულების ყყაპაყყუპი მახლისებს. ფერად ბურუსს, რომელშიც ახლა ვარ გახვეული, სხივივით გაჰყევთს ხოლმე ბავშვობის დროინდელი, გა-

ია მერაბიშვილი



დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ქართული ფილოლოგიის მიმართულებით. ამჟამად ამავე უნივერსიტეტში სწავლობს პედაგოგიის ფაკულტეტზე. მისი ლექსები პირველად დაიბეჭდა „ლიტერატურულ საქართველოში“, მას შემდეგ გამოქვეყნდა ჟურნალ-გაზეთებში: „ლიტერატურული გაზეთი“, „ანეული“, „ოლე“, „დებიუტი“, „ანდამატი“, „მწვანეყვავილა“.

ჩემ მაგიერ წერს ღამე. დუმლილი. თითქოს გავიღე ჩემი სამსხვერპლო, მეგონა, მიწყდა ხმა და ხუვილი, თურმე ახლიდან ჰყვავი, ნახსლევო,

ჯერ მზად არა ხარ, ცეცხლში დაინვა, ჯერეც გაშინებს, მოწყდე ლერნივით, ვერ შეგიჩინოს მზიურ აისმა ღვთიური სულის სუნთქვით ნარნევი.

კვლავაც გრძელდება ლოცვა სამწუხრო, რომ გაუთიოს ცისკარჟამიანს, ცა დალტობილი წვიმით დაწუროს, სანამ მინაზე ისევ დადიან.

ნასიზმრალი და ღამენატეხი იმ სხივსანუკვარს ვნატრობ ცხადშიაც. როგორც რიჟრაჟზე მთვარის ნალევი, იშლება ჩემი სულის არშიაც.

თვალეები – თიხის წყვილი ფირფიტა – დამწვარი ცეცხლით და აღტაცებით. გამოალევიძებს ქვა სერაფიტას, მე კი ოცდაერთს ველარ გავცდები.

თითქოს დამთავრდა ყველა ზღაპარი, ქრონოსს იპარავს ეპიტაფია და, როგორც ბარძიმ-ფეშუშუმ დაფარნა, მინამტვრიანი ზედ მაფარია.

ღამე უჩემოდ დანერს სანამდის, სანამ სამსხვერპლო ისევ შორია, საზრდელი ტანში ცრემლად გადამდის, პირზე ვაფარებ ხელებს ფორიაქს.

მანამ ზმანება ცხადში ევენება, გამახსენდება თხელი კიოტი, რომელშიც შენი სახე ესვენა და რომლიდანაც უხმოდ ჰკიოდი.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

მე, შენ, მაღალ, შორს დარჩენილო, მკვახე მოწყვიტე ჩემი მტევანი, ნუ დამამწიფებ ამ უდაბნოში და შემიკვცევი გზა-უტევანი,

მეც შემახვედრე უცხო ჰაერთან, ჩამომაცილე მკვდარი წარსული. თუ მინამ შენთან ვერ შემაერთა, ცით ამომივსე ეს სანყაული.

მე პოეზიამ დამასწულა, მაგრამ ლექსითვე განვიკურნები. დამლევს სიკვდილი ანაზღვეულად, გაცივდება ტანჯვის ქურები.

კვლავ შეეშალა ბედის მარჩიელს, კი არ ვყოფილვარ, თითქოს ვიყავი. ამდენ ძახილში გამოარჩიე, ჩემი ხმა იყო, ძეო, მყივანი.

გემშვიდობები ცისფერ სიზმრამდე და ვდუმვარ, როგორც ველის ყვავილი, რომ დაგელოდო, ყოველ ცისმარე ჩემს უდაბნოსთან როდის ჩაივლი.

თუ დაცლი ალაგს ჩემთვის ბაგაში, თუკი დამიტევს შენი საგული, უარმყოფ, მაგრამ ველარ გადაშლი ყრმის მარად თვალებს, ცადამარხულებს.

მინის ნაცარი პურად იხმე და გაიხსენე ყოფნა პირველი, შენ ესიზმრები ისევ მიღმიერს, მარადიულის გემოსმხილველი.

ლელმა ცრემლობს და მზით ივსება, განიბანება მტვერი და ქვიშა. შენ მიგიტაცეს ოაზისებმა, რომ სხვის ამომშრალ ემბაზში იშვა.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ეს ღამე ლოცვებს წაიღებს ბნელში და უაღდგომო აპრილის მარხვებს. ტკივილი, მსურდა, სიკვდილად გეშვი, მაინც აღმადგენ სამი დღის ნარლევს.

ადილა ნაზარი



პოეტი, პუბლიცისტი, მეცნიერი, არაერთი პოეტური კრებულისა და ორი სამეცნიერო მონოგრაფიის ავტორი. აზერბაიჯანულ ენაზე ფილოსოფიურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის ავტორი.

მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, სპარსულ, უზბეკურ, ყაზახურ ენებზე.

მაესტრო, ქამანჩა ააკვნესე ლექსად, მხატვარო, ლექსი აქციე ტილოდ, თავისუფლების იაენანა დაიტირე, მონამის დედაც. – შემცივდეს მინდა...

ჩემს ზემოთ ცაა ფირუზი, ჩემს ქვემოთ – დედამინაა. სული მებრძოლი სხეულთან, ჰაერში გამოეკიდა, გაშშორდა – ჩემზე ნინაა. მკერდს ცეცხლი ნაჰკიდებია, მწვავს, ვნება მოსძალებია. მიმქრალი კერის ნალველით საწვიმრად გამზადებული თვალეები მომღრუბლებია. ცხოვრების ამოებით ქანქარასავით ვკიდივარ, ფიქრის ბადეზე მოწყენით.

სამყაროს იტევდა ოდესღაც ის ეზო ერთი სახლითა და თავისი ხეივანით... და კიდევ ხის ქვეშ ფარდაც – სამოვარით. ახლა ყველას გულში ღმერთი საფიცარი სამყაროსათვის ღია სარკმელია.

მერე რა? რაც ხდება, ტვირთია სულისთვის... და ის სამყარო კი, ხე, ჩრდილქვეშ რომ იტევდა, ამ სამყაროზე უფრო დიდია.

და როცა დამხატვავ, თვალდახუჭული დამხატვე, მხატვარო... არ მინდა ვუყურო სიძულვილსა და სიცრუის ჭაობებს... სურნელით მინდა შევიგრძნო ყვავილთა სიტურფე, სულში გავიტარო გულწრფელი მზერა... თმებით დამკიდე ლექსების ტაბლოსთან. ისე, რომ ტურებით შევეხო სიტყვებს...

თარგმნა ნელი მაგიდოვა



ლუსი რუდმინი
ჩასაც სიტყვები ვერ გავმოცემენ. იმას გავმოცემს მუსიკის ენა, იმ ტკივილს, სევდას და მწუხარებას, რაც მოჰყოლია დრო-ჟამთა დენას.

რასაც სიტყვები ვერ გადმოცემენ, იმას გადმოცემს მუსიკის ენა, იმ ტკივილს, სევდას და მწუხარებას, რაც მოჰყოლია დრო-ჟამთა დენას.

ის ჩვენში აღძრავს ემოციებს და თან გვაზიარებს სხვის აღმაფრენას. რასაც სიტყვები ვერ გადმოცემენ, იმას გადმოცემს მუსიკის ენა.

თქვენ გსურთ თუ არა, მუსიკა მუდამ ამბობს სრულყოფილ ჭეშმარიტებას და გვაზიარებს ჩვენ იმ სულებთან, რომლებიც მარად ჩვენთან იქნება.

და მე მინდა, რომ ჩემი მუსიკა სულყველას ერთად გაგიზიაროთ, რათა თქვენ იგრძნოთ ჩემი ტკივილი და ჩასწვდეთ ჩემი სულის იარებს; და მაშინ შეძლებთ იმის გაგებას თუ რა ეკლიან გზებით ვიარე.

ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან თუხარაძე

მანანა თევზაძე

პროტაგონისტი

(პროტაგონისტი - ბუნებრივად პირველი მოქმედი პირია. დღესდღეობით, ეს ტერმინი ლიტერატურაშია და კინოში აღნიშნავს მთავარ პერსონაჟს - რომანის, მოთხრობის ან სხვა ლიტერატურული თუ სინემატოგრაფიული ნაწარმოების მთავარ გმირს.

პროტაგონისტის მონიშნულ-დეგეს ნაწარმოებში ანტაგონისტი ეწოდება).

2020 წლის თებერვლის მიწურულს რუსთაველის თეატრში პრემიერა შედგა - სემუელ ბეკეტის „თამაშის დასასრული“. რეჟისორმა რობერტ სტურუამ სპექტაკლი მიუძღვნა სიყრმის მეგობრისა და შემოქმედებითი თანამოაზრის, დიდი ქართველი კომპოზიტორის - გია ყანჩელის ხსოვნას.

„ბევრი წინასწარმეტყველად მთვლის. სპექტაკლის თემა ადამიანის სულიერ კრიზისს ეხება, ადამიანურ და საყოველთაო ტკივილს, სიცოცხლის დასასრულის მოლოდინს, შიშს, რომელიც სიცოცხლეს იპყრობს...

ბოლო პერიოდში კაცობრიობა ძალიან შეწრია უსამართლობას... ვლადიმერ, რა იქნება ჩემს სამშობლოში. აქ უკვე ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული... ნაიბილნა ყველაფერი, სულში გაქრა ზნეობა, სინდისის ნამცეცებიც აღარ გვაქვს, ჩვენ თვითონ ჩავიხედეთ საკუთარ თავში და მერე მოვთხოვთ სხვებს... არ მაქვს ილუზიები, რომ ჩვენ შეგვიძლია, ხვალ უცბად შევიცვალეთ... ბოლო დროს პესიმისტური განწყობა მაქვს. - დამთავრდება ეს პერიოდი და ყველაფერი ისევ ისე გაგრძელდება... ეს იქნება ჩემთვის ყველაზე დიდი კატასტროფა...“

რობერტ სტურუა

ჰამი: რას ხედავ?... კლოვი: სიცარიელე...

ჰამი: სიცარიელე?... კლოვი: სიცარიელე, არაფერი ჩანს...


სემუელ ბეკეტი

წერილში „მეგობრისადმი“ ბეკეტი ამგვარად ახასიათებს საკუთარ დრამატურგიულ მოღვაწეობას:

„დრამატურგია, ჩემთვის, თამაშით დაიწყო. პროზისგან უნდა შემესვენა. თეატრს ბევრი მყარი პირობითობა აქვს, მაყურებელიც არის, პროზაში კი არაფერი არ არის და აბსოლუტურად ყველაფერი უნდა გამოგონებინა... მიცხვდი, რომ შეუძლებელია პიესის დასრულება, სანამ მის რეპეტიციას არ დაიწყებ...“

ბეკეტი სხვა რეჟისორების მიერ დადგმული მისი პიესებით ყოველთვის ძალზე უკმაყოფილო იყო, ამიტომ სრულიად შეგნებულად დაიწყო რეჟისორობა და შემდეგ თეატრიდან სრულიად ახალ სივრცეში - რადიოსა და ტელევიზიაში გადაინაცვლა. ყველაფერს, რასაც ადრე ფურცელზე სატექნიკურად შეუძლებლად მიიჩნევდა, რეპეტიციებზე ეძებდა,

შპრინები მსახიობის პორტრეტისათვის... დავით უფლისაშვილი



როცა იტანჯება. ადამიანის ფიზიკური და მეტაფიზიკური დეფექტების გამოსაკვლევეად, თეატრმა ყურადღება სხეულის პრობლემას უნდა მიაპყროს, მის ფიზიკურ არსებობას მასშტაბი და აზრი მიანიჭოს და, როგორც ანტონენ არტო იტყოდა, განსაკუთრებული პოეტური ენის მეშვეობით, ცარიელი თეატრალური სივრცის შესავსებად გამოიყენოს.

ბეკეტის შენიშვნების მიხედვით, მსახიობის უესტები და მოძრაობები უძრაობიდან მომდინარეობს, მუდმივად წყდება, ჩერდება, მასვე უბრუნდება და სიტყვასა და სხეულს შორის იკავებს ადგილს.

ეს იყო ახალი თეატრალური მიმდინარეობა, რომელშიც პერსონაჟთა რეპლიკები უფრო ნაკლებ მნიშვნელოვანად მიიჩნეოდა, ვიდრე პაუზა!

„თამაშის დასასრული“

პიესა „თამაშის დასასრული“ 1957 წელს დაიწერა, როდესაც უინსტონ ჩერჩილმა ქალაქ ფულტონში სიტყვის წარმოთქმისას პირველად ასხენა „რკინის ფარდა“, როდესაც პირველი ატომური ბომბები უკვე ჩამოგდებული იყო და ცივ ომებსაც არაღებდნენ... თუმცა თავად ბეკეტს სულაც არ მოსწონდა სცენაზე „თამაშის დასასრულის“ ცივი ან ატომური ომის „მოლოდინთან“ გაიგივება.

„აბსურდისტების“ დრამატურგიამ თავის დროზე გააოგნა მაყურებელი. ვერ ვიტყვი, რომ დღეს ის სრულიად გასაგები და ახლობელი გახდა, მაგრამ აბსურდის თეატრმა თავისი ადგილი დაიკავა ლიტერატურაში და საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. ითვლება, რომ „თამაშის დასასრული“ უფრო მეტად შავბნელი პიესაა, „უფრო სასტიკი“, ვიდრე „გოდოს მოლოდინში“. იგი იოლად შეიძლება თანამედროვე ტრაგედიად მივიჩნიოთ, მიუხედავად იმისა, რომ მასში არ იპოვებინა ნამდვილად ტრაგიკული გმირები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არ იძებნება კათარზისი.

პიესის თავდაპირველი სათაური „ენდშპილია“, მაგრამ გლობალურ კატასტროფასთან დაკავშირებული ასოციაციები არა მხოლოდ სიბრძნისა და ავადმყოფობის, ინვალიდობის, სიკვდილის, განშორებისა და უიმედობის მოტივებით ვითარდება, არამედ ყოველგვარი თამაშის (თვით თეატრალური თამაშისაც), დასასრულის აუცილებლობით.

მთავარი გმირი - ჰამი, ბრმაა, და მთელი პიესის განმავლობაში არ ტოვებს ინვალიდის ეტლს; ერ-

თადერთ პერსონაჟს, რომელსაც დამოუკიდებლად გადაადგილება შეუძლია, კლოვს, დაჯდომა არ შეუძლია; ნაგი და ნელ, ნაგვის ურნებში ცხოვრობენ... კატასტროფის შემდეგ დარჩენილი სივრცე სიმშვიდეს ვერ სძენს სამყაროს. თამაში ადამიანებმა უნდა დაასრულონ იქ, სადაც სულ იყვნენ...

ბეკეტის აზრით, სამყაროს აღსასრული არ დამდგარა და არც დადგება, მაგრამ იგი გამუდმებით ჩვენთანაა, ისევე როგორც ადამიანის დედამინაზე არსებობა პირველივე წუთიდან მიიწვევს დასასრულისკენ. ლოდინს აზრი არ აქვს, სიცოცხლე უაზროა, მაგრამ თვით სიკვდილსაც რომ არ აქვს აზრი?... ამიტომაც ასე გაუთავებელია თამაში - ყოველდღიური ფარსი.

პიესის გმირები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, მათი დიალოგები ერთმანეთის მიმართ სიცივითა და გულგრილობითაა გაჯერებული. ჰამს და კლოვს, რაღაც შეუბრალებელი კანონით, ერთად ყოფნა აქვთ მიწვილი. მათი ურთიერთობების საფუძველი - ომია! საოცრად სძულთ ერთმანეთი, ყველა რეპლიკით ერთად ყოფნის აუტანლობა აისახება. მხოლოდ მოხუც მშობელთა დიალოგით იგრძნობა თანაცხოვრების მოთხოვნილება, მაგრამ ისიც ჩვენ თვალწინ დგება. ნაგი და ნელ ან სიკვდილის პირას არიან, ან უკვე გარდაცვლილან. მთელი სპექტაკლის განმავლობაში მხოლოდ მათი თავი და ზედა ტანი მოჩანს ნაგვის ბუნკერებიდან, ადამიანობის ნასახი კი მინც შერჩენილია, თითქოს ოდესღაც სიყვარულიც შეძლებიათ, მაგრამ თამაში დასრულდა და დაავიწყდათ კიდევ, როგორია რაიმეს განცდა.

მათს დიალოგებსა თუ მონოლოგებს მიღმა სიცოცხლე მიედინება, ისეთივე უაზრო, როგორიცაა ამ ადამიანთა ურთიერთობა. არც კი გაფიქრებთ, თუ ვინ არიან ისინი, რაზე საუბრობენ, მთავარია, რომ ყველამ თავის ცხოვრებაზე იფიქროს, იფიქროს იმაზე, ვის გვერდითაც შემთხვევის წყალობით აღმოჩნდნენ. ეს არის იმ თამაშის წესი, რომელსაც ცხოვრება ჰქვია.

როგორ შეიძლება გასაგები იყოს მაყურებლისათვის ბეკეტის გმირი, თუ თავად პიესის ფორმა ამ გაგებას თითქმის შეუძლებელს ხდის? როგორ შეგვიძლია ჩვენ, დარბაზში მსხდომთ, რაიმე გავუგოთ ამ „ხალხს“ (ბეკეტის საყვარელი ფორმულირება საკუთარი პერსონაჟების მიმართ)? ჩვენ ხომ დარწმუნებულიც არ ვართ იმაში, თუ სად არიან ეს გმირები ან არსებობენ თუ არა ისინი

ნამდვილად, ჩვენ ვეძებთ დროში და საერთოდ, შეიძლება კი მათი განხილვა ტრადიციული დროისა და ცხოვრების მდინარეებში?

ბეკეტი ცდილობდა, სიკვდილს შეგუებოდა. ეს მის ყველა დრამაშია. მას მიაჩნია, რომ თამაშის გარეშე ცხოვრებას ფასი არ აქვს... ან რა არის თამაში თუ არა შერიგება სიკვდილთან? ბეკეტთან დასასრული არ ჩანს და თამაში არასოდეს მთავრდება. ეს არის სიკვდილ-სიცოცხლის უსასრულო თამაში...

ძველი ბერძნები მთელი დღის განმავლობაში სამჯერ ახსენებდნენ „სიკვდილს“.

რათა მის არსებობას შეგუებოდნენ. თავისი შემოქმედებით ბეკეტი უსასრულოდ მოგზაურობს სიკვდილისა და ჯოჯოხეთის ნიაღში - მოგზაურობს, რათა სულ უფრო შეეჩვიოს მასზე ფიქრს. სიკვდილის თემა მსოფლიო ლიტერატურაში, საზოგადოდ, ამოუწურავია, მაგრამ რამდენად შესაძლებელია - სიკვდილთან შერიგებით განიცადო სიხარული?

„თამაშის დასასრულის“ წყვილები სრულიად განსხვავებულნი არიან: მოხუცი ცოლ-ქმარი - ნელ და ნაგი, და კიდევ ორნი - ბრმა ინვალიდი და მისი... მისი მომვლელი?... კლოვი პატრონობს ჰამს, მაგრამ ამას მეტად უხეიროდ აკეთებს. ჰამის მშობლებსაც, ნაგვის ყუთებში რომ სხედან, უკეთურად ექცევა, თუმცა თვითონ ჰამიც ითხოვს მათთვის ურნების (ეტყობა, სამარხი ურნების) თავსახურების ჩაჭედებას და გადაყრას. მოხუცები მას აღიზიანებენ, რადგან ისინი თავის მოვლებებში ცხოვრობენ, ერთმანეთთან საუბრობენ, ხანდახან ცდილობენ, გაიციონ კიდევ... ჰამს კი მხოლოდ თავისი ტკივილი და გასაჭირი აწუხებს, მაგრამ არა - გარე სამყარო, რომელიც არც არსებობს... იგი საერთო ენას ვერ პოულობს კლოვთან, ალბათ იმიტომ, რომ არც ცდილობს... არის მხოლოდ ჩაკეტილი სივრცე ხელი ოთახისა... არის მოგონება რაღაც კარგისა, რაც იყო ოდესღაც და, საერთოდ... კიდევ არის - ჰამის საყვარელი ხავერდის ძალი, რომელსაც კლოვი უმოწყალოდ სცემს და... მაშინ ტირის ჰამი...

როცა კლოვი საბოლოოდ სტოვებს ოთახს და ჰამს უეჭველად სასიკვდილოდ ტოვებს, ხელში ძალი უჭირავს... რომელსაც ძირს აგდებს...

გაურკვეველია, მოხდა თუ არა სადმე კატასტროფა ან, იქნებ, ყველანი ნებაყოფლობით ჩაიკეტნენ, ვინაიდან დასრულდა ცხოვრების თამაში...

და ეს კვდომია ალბათ ყველაფერზე სამინელი... უფრო გაუსაძლისი, ვიდრე ვიღაცის გაუთავებელი ლოდინი...

„თამაშის დასასრული“ ბეკეტის განსაკუთრებული პიესაა - სრული წყვილია, უსინათლო... სამყაროს განვლილი დასასრული... ადამიანის ეგზისტენციალური მარტოობა...

არ მიყვარს ბეკეტი, რადგან მის პიესებში მკაფიოდ იკითხება ადამიანური ცხოვრების მეტაფორულობა...

სემუელ ბეკეტის „თამაშის დასასრული“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიესაა, დადგმულია მსოფლიოს მრავალ თეატრში, ლასკალას საოპერო თეატრის სცენაზეც კი, მაგრამ ალბათ მხოლოდ რამდენიმე რეჟისორმა გახედა და შეძლო ბეკეტის ტრაგედიათთან მიახლოება.

►► გაგრძელება იქნება

სოსელი ლუარსაბ თათქარიძე

ჯემალ აჯიაშვილის პრემია – გიზო ზარნაძეს

ინტერვიუ

– ბატონო გიზო, პირდაპირ საქმით დაიწყეთ: ამ რამდენიმე დღის წინააღმდეგობაშია „მწერლის გაზეთი“ (2021 წ. №6), რომლის ბოლო გვერდზე რედაქცია იუნჯებოდა, რომ ცნობილი მწერლისა და მთარგმნელის ჯემალ აჯიაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად ლიტერატურული კონკურსი ჩატარებულა და გულწრფელად მესიამოვნა, რომ გამარჯვებულთა ჩამონათვალში თქვენი სახელი და გვარიც ამოვიკითხე.

თუ შეიძლება, უფრო კონკრეტულად გვითხარით ამ კონკურსის თაობაზე.

– როგორც პრესა იტყობინებოდა, ეს პრემია შარშან დაარსდა საქართველოს მწერალთა კავშირმა თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით. ეს ინფორმაცია გამოქვეყნდა ქართველ მწერალთა ძირითად ლიტერატურულ ორგანოში, 90 წლის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ 2021 წლის 12 ნომერს, ხოლო კონკურსის შედეგები, როგორც თქვენც გაცნობიხართ, გამოაქვეყნა „მწერლის გაზეთი“ ასეთი ტექსტით: „ჯემალ აჯიაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულები გახდნენ: საუკეთესო პოეტური ნაწარმოებისთვის – ცირა შალაშვილი და დავით შემოქმედელი (ტაკიძე); საუკეთესო პროზაული ნაწარმოებისთვის – ირაკლი ნადარეიშვილი და ირმა კეკელიძე; საუკეთესო პოეტური თარგმანებისთვის: – ია სულაბერიძე და მურმან თავდიშვილი, საუკეთესო პროზაული თარგმანისთვის – გიზო ზარნაძე და ნიკოლოზ შამუგია. წლის რჩეული იუბილარის ნომინაციაში ნარმოჩინდნენ მანანა დუმბაძე და აკაკი დაუშვილი“.

– მორჩა? რატომ ასეთი „მშრალი“ ინფორმაცია?

– არ ვიცი, სულ პატარა ცნობა იყო.

– ჰო, მაგრამ, მომხდარა მართლაც შთაბეჭდილება, მნიშვნელოვანი ფაქტი: საქართველოს მწერალთა კავშირმა და ქალაქის მერიამ ობიექტურად შეაფასეს რა ებრაული ნარმოვანობის გამოჩენილი ქართველი პოეტისა და მთარგმნელის, ან განსვენებული ჯემალ აჯიაშვილის ნელილი და დამსახურება ქართული ლიტერატურის წინაშე და მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად დაარსეს ლიტერატურული პრემია!.. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც ჩვენი, ასევე ისრაელის სახელმწიფო ორი უძველესი ერის შესანატრ კულტურულ თანამეგობრობას!

– დიახ, ნამდვილად ასეა. ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს, 1916 წელს, თუ არ ვცდები, ქალაქ ამსტერდამში გაიმართა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელთა თავყრილობა. დელეგატები გულისტვივრით აღნიშნავდნენ, რომ მათ ამ ქვეყნებში ყოველთვის და ყველგან ავიწროებდნენ და, ხშირად არბევდნენ კიდევაც!..

– და აი, ტრიბუნაზე ავიდა ცნობილი მწერლის, პუბლიცისტის და საზოგადო მოღ-

ვანის გერცელ ბააზოვის მამა დავით ბააზოვი და, როგორც იტყვიან, ცამონმენდილზე მეხის გავარდნასავით გაისმა მისი სიტყვები: ჩვენთან კი, კავკასიის ერთ პატარა ქვეყანა საქართველოში, ათეულობით საუკუნეთა განმავლობაში, ძმურად და მეგობრულად ვცხოვრობთ ქართველები და ებრაელები!.. ამ ინფორმაციას რაიგ გაუმარჯობდა ზურგს მორევ: სულ მალე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, შეტევა მიიტანეს რელიგიაზე და ონის სინაგოგას ბოქლომი დაადეს. საპასუხოდ ებრაელებმა დედებმა ჩვილებიანი აკვნები მიიტანეს და განალაგეს სინაგოგის კარიბჭესთან; სოლიდარობის ნიშნად ქართველმა დედებმაც აუბეს მათ მხარი. ხელისუფლებამ უკან დაიხია.

– ბატონო გიზო, როგორც იტყვიან, ეს ყოველივე ძალიან კარგია, მაგრამ თქვენ მაინც „გავიძილიეთ“, რომელი მწერლის რომელი ნაწარმოები თარგმნეთ და რომელი ენიღებ?

– ვთარგმნე გამოჩენილი აფხაზი მწერლის, ფაზილ ისკანდერის შესანიშნავი მოთხრობა – „ჩემი ყოვლა: დკეთილი ბიძა“...

– ანუ აქვს ზურგიდან რუსულად თარგმანილი გადმოაქართულეთ?

– არა, ისკანდერი რუსულენოვანი, დედით აფხაზი მწერალი გახლდათ.

– დღევანდელი ახალგაზრდობის გასაგონად, იქნებ მის შესახებ ორიდევ სიტყვით მოგვითხროთ...

– ფაზილი დაბადებული იყო 1928 წელს, სოხუმში. გარდაიცვალა 2016 წელს, მოსკოვში, დაკრძალულია ნოვოდევიჩის სასაფლაოზე, იგი მრავალმხრივი შემოქმედი გახლდათ: იყო პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი, სცენარისტი, ჟურნალისტი... დაიბადა ირანელი ემიგრანტის აბდულა ისკანდერისა და აფხაზი ანიტა მიშელიას ოჯახში. მოგვიანებით მამამისი დაუბრუნდა ისტორიულ სამშობლოს და აფხაზეთში აღარასოდეს გამოჩენილა. ფაზილი თავიდანვე რუსულ სკოლაში სწავლობდა და ინსტიტუტშიც რუსულ სექტორზე ირიცხებოდა. თავიდან ლიტმუშაკად მუშაობდა სოხუმის საქალაქო გაზეთში და ნარმატივულ ჟურნალისტადაც ითვლებოდა. იმავდროულად, ხშირად აქვეყნებდა მშვენიერ ლირიკულ ლექსებსაც.

ამის პარალელურად, თანდათან გამოიკვთა მისი მოღვაწეობისა და პოლიტიკური მიზნის შეუთავსებლობა ზოგადად საბჭოურ და, კერძოდ, ავტორიზირებულ რესპუბლიკის ხელმძღვანელთა იდეოლოგიასთან. განსაკუთრებით დაეძაბა ურთიერთობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან, ცნობილ მწერალ ბაგრატ შინკუბასთან, რის გამოც იძულებული გახდა, მოსკოვს გადაბარებულყო, სადაც მას უკვე კარგად იცნობდა და აფასებდა რუსეთის ლიტერატურული ელიტა. ფაზილი ევგენი ევტუშენკოსთან, ანდრეი ვოზნესენსკისთან, რობერტ როუდესტვენსკისთან, ბელა ახმადულინასთან, ბულატ ოკუჯავასთან ერთად არაღვალური გამოცემის „მეტროპო-

ლის“ დამფუძნებელი გახლდათ, გამოცემისა, რომელიც შემდეგ ნიკიტა ხრუშჩოვმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა...

– თქვენ როდის დაინტერესდით მისი შემოქმედებით?

– 1969 წელს ვთარგმნე და გამოცემილობა „ნაკადულმა“ ცალკე ნიგნად გამოსცა „წლის საუკეთესო მოთხრობა“, ფაზილ ისკანდერის „ხელჩინკა“, რომელიც ჟურნალ „ნოვი მირის“ გამოკითხვის შედეგად, პირველ ადგილზე გავიდა. ამის შემდეგ, პერიოდულად ვთარგმნიდი ხოლმე ისკანდერის ნაწარმოებებს და, თუ შეიძლება ითქვას, გაიბა ჩვენს შორის მეგობრული და შემოქმედებითი კავშირი. ერთმანეთს ვხვდებოდით როგორც მოსკოვში, ასევე თბილისში. რამდენჯერმე მოვამზადე და ეთერში გადაიცა ისკანდერის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სატელევიზიო გადაცემა. 2012 წელს ისკანდერი წარადგინეს ნობელის პრემიაზე... 2014 წელს გადავწყვიტე, მისი მოთხრობების თარგმანი შემეთავაზებინა იმდროინდელი კულტურის მინისტრის, ბატონ გურამ ოდიშარიასთვის, იმ მოტივით, რომ კრებულის მთელი ტირაჟი უსასყიდლოდ გადაეცათ აფხაზეთის მოსახლეობისთვის. ბატონმა გურამმა გულმოდგინედ ახლოს მიიტანა ეს იდეა, მომზადდა ხელშეკრულება, შედგა ხარჯთაღრიცხვაც და დღე-დღეზე რომ ველოდი ნიგნის დასტამბვას, სწორედ ამ დროს მინისტრი გაათავისუფლეს თანამდებობიდან და პრემიერ-მინისტრის მრჩეველად დანიშნეს... როგორც მსგავს შემთხვევებში ხშირად ხდება ხოლმე, ახლადდანიშნულმა კულტურის მინისტრმა პროექტს ჯვარი დაუსვა. მე კი, ეტყობა, გულუბრყვილოდ მეჩვენებოდა, რომ ეს იქნებოდა ჩვენი სახალხო დიპლომატიის მომგებიანი პოლიტიკური ნაბიჯი!..

– დასაანაია, რომ ვერ განხორციელდა თქვენი ეს მართლაც მშვენიერი პროექტი, მაგრამ იქნებ ანი მაინც დაინტერესდეს რომელიმე სახელმწიფო ორგანიზაცია ან კერძო პირი და, ბოლოს და ბოლოს, ელირსოს მზის შუქი ამ ნიგნს...?

– ღმერთმა გისმინოთ!

– კიდევ ერთი კითხვა: – რამდენად ახლოს იცნობდა ფაზილ ისკანდერი ქართულ მწერლობას?

– მისი შემოქმედებისადმი მიძღვნილი სატელევიზიო გადაცემაში ფაზილმა აღიარა, რომ ღრმად მცოდნე ვერ არის ქართული ლიტერატურისა, თუმცა და ხაზგასმით თქვა: – ქართველი კლასიკოსებიდან ყველაზე გამოჩენილად ნიკოლოზ ბარათაშვილი მიმაჩნია და მას ვაიგივებ მეორე გენიოსთან, მიხეილ ლერმონტოვთან!.. თანამედროვე მწერლებიდან გამომარჩევადა ჭაბუა ამირეჯიბს. მშვენიერად იცნობდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას და, ამასთან დაკავშირებით, ღრმად იგონებდა ერთ ამბავს: ბავშვობაში მეტისმეტად ზოზინა და მოუქნელი ვიყავი, ჭამა და განცხრომით ყოფნა მიყვარდა და, ამის გამო სოხუმელი ბიჭები ლუარსაბ თათქარიძეს მეძახდნენ!..

ესაუბრა რუსულად ქობულია



ჩემი ყოვლადკეთილი ბიძა

ფაზილ ისკანდერი

ნანწყვტი

როდესაც ჩვენუნებელი ბიჭები თავიანთი სახელოვანი ნათესავებით ტრაბახს მოჰყვებოდნენ, ვღუმი და მოსაუბრეს ვუსმენდი ხოლმე.

სამხედრო ნათესავები უმაღლეს კატეგორიაში გადიოდნენ; თუმცა, სამხედროთა შორისაც იყო განსაკუთრებული, ბავშვური წარმოსახვით ნაკარნახევი სუბორდინაცია. პირველი ადგილი მესაზღვრეებს ეთმობოდათ, მეორე – მფრინავებს, მესამე – ტანკისტებს და ა.შ., მხოლოდ მეხანძრეებისთვის არ არსებობდა კონკურსი.

მაშინ ომი ჯერ კიდევ არ იყო და, ჩემდა სავალალოდ, არც ერთი სამხედრო ნათესავი არ მყავდა. მიუხედავად ამისა, მე მაინც მქონდა ჩემი კოზირი, რომელსაც საკმაო წარმატებით ვიყენებდი...

– ბიძაჩემი კი გიჟია! – ვამბობდი მშვიდად და ჩემი ამხანაგების მეტისმეტად რეალურ გმირებს დროებით ჩრდილში ვტოვებდი. გიჟი ეს ხომ უჩვეულო და თითქმის ხელმიუწვდომი რამ არის! თუ კარგად ისწავლი, მფრინავიც შეიძლება გახდე და მესაზღვრეცო, გემოდღვრავდნენ უფროსები და მათ, რასაკვირველია, იცოდნენ, ხურმა რა ხილიც გახლდათ! მაგრამ გიჟი ვერ გახდები, სულ ხუთოსანიც რომ იყო, თუ, რა თქმა უნდა, მარტო სწავლას არ გადაყვები. თანაც, კოჭებში გვეტყობოდა, რომ ამ მხრივ, საფრთხე ნამდვილად არ გვემუქრებოდა. ერთი სიტყვით, გიჟი ან უნდა დაიბადო, ან ბავშვობაში ლაზათიანად დაეცე, ან მენინგით დაეგადე...

– ნამდვილი გიჟია? – უნდობლად მკითხავდა ხოლმე რომელიმე ბიჭი.

– რა თქმა უნდა! – მიუგებდი უმაღვე, რადგან წინასწარვე ველოდი ამ შეკითხვას, – ცნობებიც აქვს, პროფესორებმაც შეამომხეს.

ცნობები მართლაც გვექონდა. ბიცოლაჩემს ენყო საკერავ მანქანაში.

– მერე, რატომ საგიჟეთში არ მოათავსებთ?

– ბებიჩემი არ უშვებს.

– ღამლამობით არ გეშინიათ მისი?

– არა, მივეჩვიე, – ექსკურსიის მძლოლივით დინჯად მიუგებდი და შემდეგ კითხვებს ველოდი. ხანდახან სულელურ კითხვებსაც მისვამდნენ, მაგალითად, ხომ არ იკბინებო, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი.

– ისე, შენც ხომ არ აფრენ ცოტას? – გამომცდელად მეკითხებოდა მეორე და გამმსჭვალავი თვალებით მაკვირდებოდა.

– კი, ცოტათი მეც ნავიჟიუიანებ, – ვამბობდი ღირსეული თავმდაბლობით.

– საინტერესოა, ფრან-გუტი მოერევა თუ გიჟი? – წამოიძახებდა ვინმე და წამსვე წამოაყენებდნენ ათობით საინტერესო ვარაუდს. ფრანგუტი შაპიტოს მომთაბარე ცირკის სახელგანთქმული მოჭიდავე გახლდათ. ზანგი იყო და ამიტომაც ყველანი მისი გულშემატკივრები ვიყავით.

ბიძაჩემი ჩვენი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა ბიცოლაჩემის, ბე-ბიჩემისა და სხვა ნათესავების გარემოცვაში. არსებობდა ორი საგვარეულო ვერსია, რომლებიც ბიძაჩემის არანორმალურობას ხსნიდა. პირველი ვერსიით, ისე გამოდიოდა, თითქოს ყველაფერი ბავშვობაში, ავადმყოფობის შემდეგ მოსვლოდა. ეს უინტერესო და ამიტომ ნაკლებდამაჯერებელიც იყო. მეორეთი კი (ამ ვერსიას ბიცოლაჩემი ისეთი თავგამოდებით ავრცელებდა, რომ ბოლოს და ბოლოს, დაჯაბნა ბებიჩემის ვერსია). ირკვეოდა, რომ იგი ყმანელიკაცობაში არაბული ტაიქდან გამომოვარდნილიყო.

ბიცოლაჩემს რატომღაც ესამუშებოდა, როდესაც ბიძაჩემს გიჟად იხსენიებდნენ, – გიჟი კი არა, სულით ავადმყოფიაო, – იტყოდა ხოლმე.

„სულით ავადმყოფი“ ლამაზად, მაგრამ მაინც გაუგებრად უღერდა. საერთოდ, ბიცოლაჩემს უყვარდა სინამდვილის შელამაზება, რასაც, წაწილობრივ, კიდევაც ახერხებდა. მიუხედავად ამისა, ბიძაჩემი ნამდვილი გიჟი, თუმცა, თითქმის ნორმალურიც იყო.

რჩოლით არავის ერჩოდა. ჩამოჯდებოდა ხოლმე თავის მერხზე და თავისსავე შეთხრობა სიმღერებს ლილინებდა. ძირითადად ეს უსიტყვო რომანსები გახლდათ. მართალია, ხანდახან წამოუვლიდა ხოლმე – რალაც ძველი წყენა თუ სატიკვარი ახსენებოდა, მეორე სართლის გრძელ დერეფანში გარბი-გამორბოდა და კარს აჯახუნებდა. ამ დროს უმჯობესი იყო თვალში არ მოხვედროდით. იქნებ არაფერიც არ დაეშავებინა, მაგრამ მაინც ასე სჯობდა. ბებიჩემი თუ იყო შინ, მოგვეცათ ლხენა, უმაღვე მოჰყავდა ჭკუაზე – გადაუკეცავდა პერანგის საყელოს და უცერემონიოდ შეაყუდებინებდა თავს ონკანქვეშ. როგორც კი ცივი წყლით საკმაოდ გაილუმბებოდა, უმაღვე დაშოშმინდებოდა და ჩაის მიუჯდებოდა ხოლმე.

ბიძაჩემს, ახლანდელი სასიმღერო ლექსების მოხვედრი პოეტებით, ღარიბი ლექსიკა მქონდა. მეორეკლასელმა ბავშვმაც იცის ყველა ის სიტყვა, საუბარში რომ იყენებდა. თუმცა, ზოგჯერ, ისეთ რამესაც გამოთქვამდა, ნამდვილად რომ ვერ ნახავთ მეორეკლასელის რვეულში, რვეულში კი არადა, ნიგნშიაც ვერ შეხვდებით. ასეთ სიტყვებს, როგორც ყველა ნორმალური ადამიანი, უდიდესი სულიერი აღმავლობის წუთებში ხმარობდა. მათგან მხოლოდ ერთი ფრაზის შეკონინება შეიძლება: „გავგულავ დედარჩემს!..“

ძირითადად, აფხაზურად ლაპარაკობდა, გინებთ კი ორ ენაზე იგინებოდა – რუსულად და თურქულად. ეტყობა, ის საგინებელი სიტყვები მესხიერებაში განსაკუთრებული სიმწვავის გამოისობით ჩაეჭვდა. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ რუსები და თურქები, განრისხების ყამს, ერთიანი ემოციური დატვირთვის სიტყვებს იყენებენ...

თარგმანა გიზო ზარნაძე



▶ დასავლელი დასავლელი „ლ“ №3

რეზონანსი

ლოგოსის დაუფლება

პაულ ცელანის პოეზიის თარგმანის გამო



სიზუსტისათვის უნდა ითქვას, რომ განსხვავებით ზემოთქმულისაგან, წარმოდგენილ ლექსებში ენობრივი ქსოვილი ვერ კიდევ სახეზეა. მოუხედავად ამისა, მკითხველი მაინც შეამჩნევს, თუ როგორ განიცდის პ. ცელანის ლექსი ატომიზაციას (განსაკუთრებით ლექსში „ნავსადგური“). კლასიკური ლექსის პოეტიკისათვის დამახასიათებელი იდეისა და შინაარსის სიცხადე მთარგმნელობისათვის, ზოგადად, შედარებით ადვილი დასაძლევია. სიმძლევს ქმნის ავტორისეული სახისმეტყველებისა და გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების მიზანდასახული შენაცვლება. თარგმანის სახით ჩვენ ნინაშუა დედანთან მაქსიმალურად მიახლოებული, აღმავალი ემოციური განცდით შექმნილი ლექსის სტრუქტურა, გამოკვეთილი სამსტროფიანი ტოპოლოგიური ჩარჩო, რომელშიც თითოეული სტროფი ვეგარდინი რითმით (აბაბ) ოთხ სტრიქონად არის გამართული. მედიტაციური პოეზიაში, სადაც ლექსი პროზაული მეტყველებისკენ იხრება, ალბათ, სხვა მეტრული ფორმის შერჩევაც შეიძლება, თუმცა მთარგმნელი ზუსტად უმარჯვეებს მას ქართულ ნოვობლიტიზაციაში ტრადიციულ და თითქმის დომინანტად ქცეულ ვეგარდინ რითმას. საგულისხმოა, ასევე, რომ რითმის ქმნის არა მსგავსი ფლერადობის მქონე ბგერათკომპლექსებისუბრალო განმეორება, არამედ აზრობრივი დანიშნულების მქონე სიტყვები, რითაც ხაზი ესმება რითმის სემანტიკას. გარითმის ხარისხს ამაღლებენ მარცვალთა თანაბარი რაოდენობის მქონე ერთგვაროვანი და არათავგვაროვანი რიტმული ერთეულები: ზმნა და არსებითი სახელი - „ზარადი“ / „ზარადი“ / 3/3; სინტაგმაში გაერთიანებული არსებითი სახელი და არსებითი სახელი - „მდუმარ ლანდებად“ / „ეკალბარდებად“ / 5/5; არსებითი სახელი და არსებითი სახელი - „სისხლი“ / „რისხვით“ / 2/2.

სიკვდილის ფუფა პ. ცელანის ის შედევრია, რომელიც დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული რომელიმე მუსიკალური კონსტრუქციის პრინციპები უსიუფეტო ლექსის ასაგებად. ლექსის საარსებო სივრცე აქ იქმნება კონტრასტის ხერხით, რომელიც გულისხმობს პარაფრაზის მიღწევას რამდენიმე დამოუკიდებელი მელოდიური ხაზის ერთდროული მიმდინარეობით. ამ შენაკადებს ქმნის სამი ასოციაცია, რომელთაგან გველთან მოთამაშე კაცი წარმოადგენს მინიშნებას ფაზისზე და მის ანტიპოდურ საქმიანობაზე, ხოლო მარგარიტას ოქროსფერი თმები და სულამითის ნაცრისფერი თმები, სავარაუდოდ, გერმანიისა და ებრაელების სიმბოლოები არიან. კომპოზიციის აგებულება აღწერილობითი თხრობის პრინციპზე და წარმოადგენს ერთი თემის ნაირსახოვან გამოხატვას კონკრეტულ სახეებში. ასოციაციური სამპლა-

ნიანობა ერთიანდება ერთ თემად - II მსოფლიო ომის ტრაგიკული შედეგების მძაფრი განცდა. ლექსის პოლიფონიურობა მიიღწევა მისი სტრუქტურის მელოდიური წყობით. ამ ტიპის ნაწარმოებებში სწორედ მელოდიური ინტონაციაა ის მაორგანიზებელი ელემენტი, რომელიც ლექსის შიდა სამყაროს ურთიერთმიმართებებს ანესრიგებს, რადგანაც სტრიქონები, როგორც ზემოთ ითქვა, სემანტიკური კავშირების უქონლობის გამო ხშირ შემთხვევაში მონოსემანტიკურნი არიან. თარგმანი ლექსის მელოდიურობას კიდევ უფრო სუვერენულს ხდის. მნიშვნელოვანია, რომ მთარგმნელი ამ შემთხვევაში არ არღვევს ლექსის ინფორმაციულ-სემანტიკურ სიბრტყეს, ოღონდ მის იდეურ-მხატვრულ ქსოვილს ამყარებს ქართული განცდისათვის ნიშანდობლივი დატვირების, გოდების ინტონაციით. ლექსის შინაარსის ორგანიზაცია, ნინადადებებისა და ცნებების ლოგიკური ბმულობა მიღწეულია მწუხარების გამომხატველი მორისდებულობით - ვაი, რომელიც სავსებით ითავსებს ავტორის აზრობრივ ნიუანსებს, კერძოდ, გაზიტი გაგუდული ებრაელები, გუნდურ მეტყველებას. ნაწილაკი კი შემაპირისპირებელ ფუნქციას ასრულებს. ინფორმაციულ-სემანტიკური სიბრტყის გადალახვა ამავე ლექსში უკავშირდება ავტორისეულ ლიტერატურულ მეტაფორას „შავი რქე“. გვეჯრა, რომ ქართული პოეზიის მოყვარულებს მესხერებაში ვერაფერაც ცოცხალი სინათლესთან დაკავშირებული მიმზიდველი ქართული მეტაფორები „რძისფერი შუქი“ (ალ. აბაშელის „თოვლი“), „საცაა ღამე რქეში აირევა ...“ (ი. მოსაშვილის „გომბორის ღამეები“), ლ. სტურუას „ვერცხლის კოვნი რძიან ჭიქაში“, რომლებშიც რქე იმედის, სიკეთისა და პარაფრაზის სეგმენტებს ბადებს. პ. ცელანთან პირიქითაა, „რქე“ ფაზისზე შავნელი ზრახვების სამსახურში დგას. ეს მეტად ორიგინალური ტროპი სპეციალურ ლიტერატურაში მიჩნეულია ოქსიმორონის ტიპური ფორმის მქონე ექსპრესიულ მეტაფორად, რომელსაც მთარგმნელი თავისებურად თარგმნის - „შავი რძისნამი“. თარგმანში დამაჯერებლად ხორციელდება სიტყვის ლოგიკური და მხატვრული კომუნიკაციის უნარის დაპირისპირება, რადგანაც ტროპის მხატვრულობის ხარისხობრივ ეფექტს ქმნიან დამატებითი ასოციაციების წარმომქმნელი თავისუფალი ნიშნები. გერმანული ხატი „შავი რქე“ იმდენად ალოგიკურია, რომ უმალ მისი ასოციაციური აღქმის ინტერესს აღძრავს. სავარაუდოა, რომ მთარგმნელი ხელმძღვანელობს ცნებით, რომ საგნები, ზოგადად, ორი სახით არსებობენ - თავისთავად და საგნებად ადამიანის შემეცნებაში. ნამი ფიზიკური რეალობაა, რომელიც ტენიანი პაერის გაციფების შედეგად წარმოიქმნება და თავისი თვითკმარი არსებობა გააჩნია. რეალური რქე პირიქით, გათბობისას გამოყოფს ნამს, როგორც შემადგენელ ნაწილს და ამ

სახით ვრცელდება პაერში. ავტორისეული ტროპი ქართულ ენაზე გასაგები, მაგრამ მიუღებელი და სემანტიკურად ერთგვანოვანი იქნებოდა. ესთეტიკურად და ასოციაციური სიმდიდრის მხრივ ქართული ხატი „შავი რძისნამი“ უფრო მეტი ემოციური კონტაქტების აღმძვრელია და შემეცნებითი ღირებულებაც ბევრად მაღალი აქვს. *** ენის ბუნებრივ-გამომსახველობითი პოტენციალის ზრდა ფორმატქმნადობის ისეთი ხერხით, რომელიც რუსთავადს ახასიათებდა, პოეტისთვის დელსაც მისაბაძია. რუსთაველი გეტავაზობს არსებით სახელთა ზმნური ფორმით წარმოჩენის ულაშაზე სტილურ ხერხს: „ვარდი ვარდა“, „ენა ენდა“, „ხამალა გახამაყვარდა“, „დაეცა, გასისხლდინარდა“, „მზე აღარ მზებობს ჩვენთან, დაარი არ დარობს დარულად“. მთარგმნელი წარმატებით იყენებს ამ ხერხს, მით უმეტეს, რომ ის წყაროტექსტშიც გვხვდება: „... und unter mir himmels und sterntswie daheim um Johanni“ - „... ხოლო ჩემქვემოთ შავდება და ვარსკვლავდება, როგორც სახლი იოვანესი“. მართალია, გერმანულ და ქართულ სტროფებში ეს სტილური ხერხი ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ ამ ფორმასთან სიახლოვე და მისი აქტუალიზება მთარგმნელის მაღალ კვალიფიკაციაზე მეტყველებს. *** განსხვავებული სახის ლამაზ პოეტურ ხატს ვხვდებით ვარდთან დაკავშირებულ სიტყვათქმნადობში: „Ein Nichts / waren wir, sind wir, werden / wir bleiben, blühend : / die Nichts-, die / Niemandrose“ - „არაფერი / ვიყავით და ვართ და ყოველთვის / ამაღ დავრჩებით, მოყვავილენი / ვარდარაფრები, არვის; / ვარდნი“. ასევე: „Der Himmel Herzgrau, muß nah sein“ - „რომ ყოფილიყო უჯულო ცა სულ ოდნავ ახლოს“. ნაცრისფერის (grau) გამოყენება არსებითი სახელის დასახასიათებლად მხოლოდ მეტაფორის საერთონიშნის, უგრძობლობის, რეალიზაცია იქნებოდა და სტილისტურადაც ნეიტრალურ დონეზე დარჩებოდა. მთარგმნელი ტროპს „აცოცხლებს“; ის თავის წარმოსახვაში ნაცრისფერს უკავშირებს გულის მახასიათებელი ნიშნის, გრძობადობის თვისებას და ბევრად ზრდის ტროპის ემოციურ ეფექტიანობას. ასეთი ფორმები, თუნდაც განზოგადებული სახელების სახით, პოეზიაში მაღალი ხარისხის ინტენსივობის გამოხატველი და ფსიქოლოგიურად ემოციური შეფერილობისანი არიან, რადგანაც აბსტრაქციის მაღალ საფეხურზე დგანან. *** მნიშვნელოვანია პოლისემიური სიტყვების der Fremde და der Fremdling თარგმნის შემთხვევები. განსხვავებით სიტყვისაგან der Fremde (უცხო, უცნობი, გარეშე პირი, უცხო ტომის წარმომადგენელი), რომელიც თარგმანში კარგად თავსდება, საინტერესოა der Fremdling-ის თარგმანს სიტყვით მგზავრი. ერთი შეხედვით, ეს სიტყვა, თითქოს, უფრო შესაფერისი იქნებოდა, თარგმნილიყო უთვისტომოს, გადახვეწილის, უცხოებაში მყოფის გაგებით, რაც ებრაელი ერის მარადიული ყოფის გამოხატველიც იქნებოდა; მით უმეტეს, რომ სიტყვა მგზავრი დროის მცირე მონაკვეთს მოიცავს. ეს განსაკუთრებით ეხება ცელანის ავტობიოგრაფიულ ლექსს „კენოტაფი“. სავარაუდოა, რომ თარგმანში

აქტიურდება შუა საუკუნეების მხატვრული აზროვნებისთვის ნიშანდობლივი გზის მოტივი, რომელიც გაგებულ უნდა იქნეს როგორც თავად პ. ცელანის გზა ებრაელთა დაკარგული იდენტურობის ძიებაში; მისი სრულყოფილი გზა იდეალისკენ სწრაფვაში, რაც მისი სულის მოგზაურობის ადეკვატურია. *** საინტერესო მხატვრულ სახეებს ქმნის გერმანული წინდებულის dach (აქ: გამჭოლი მოქმედება) თარგმნის ტექნიკა: „ich...schritt durch den Sommer“ - „შიდაპირი ვკვეთდი ზაფხულის“; „ihr ginget ...durch den Abend“ - „სალამოს კვეთდით“ „das Körnchen Eis im Schnabel, kommt er durch den Sommer“ - „მოფრენს, ნისკარტში ზაფხულმჭრელი ყინულის მარცვლით“. თავისი პროცესუალური დატვირთვით ზმნები - კვეთა, ჭრა, მოფრენა მარტივად ასახსნენ არიან. მნიშვნელობას იძენს მათი შესიტყვება თანხლებს არსებით სახელებთან - სალამო, ზაფხული და, განსაკუთრებით, ზაფხულისშიდაპირი. ნიმუშებში კარგად ჩანს, თუ როგორ ხდება თარგმნის პროცესში სიტყვის მორფოლოგიის გათვალისწინება, როდესაც, კონტექსტის შესაბამისად, უნდა გააქტიურდეს სიტყვის ან ვერბალური ნაწილი ან მისი შინაგანი აზრი. როგორც მთლიან ენობრივ წარმონაქმნს, ლექსს ახასიათებს ტოპოლოგიური ჩარჩოში განფენილი ველის სტრუქტურა. იგი შედგება როგორც ვერტიკალური და ჰორიზონტალური სიბრტყეების, ასევე, სიღრმისეული პარამეტრისაგან. მთარგმნელის ხედვის რაკურსიც სიღრმითი განზომილებისკენ არის მიმართული: სალამო და ზაფხული წარმოსახული არიან პერსპექტივაში გაშლილ სიღრმედ (მარტინ პაიდგერის განსაზღვრებით, weitgewiesen, weitwesend - წინ გაშლილი, სივრცეში განფენილი), რაც მთარგმნელს საშუალებას აძლევს, თავისუფლად გავიდეს ფრაზის ინფორმაციული სიბრტყიდან, შეარბილოს სიტყვის ვერბალური სიმკვრივე და იხელმძღვანელოს მის არსში მდებარე ენერგიით. *** მსგავსი მაგალითების მოყვანისას ვრწმუნდებით, თუ როგორ მონაწილეობს ენა შემეცნების პროცესში, როგორ გარდაიქმნება ავტორისეული „სინამდვილე“ მთარგმნელის ცნობიერების ობიექტად. თარგმანი სულიერ-გონითი მოღვაწეობის ფართო კონტექსტის საგანია და არ არსებობს კარგითარგმანი მთარგმნელის, როგორც შემოქმედელი სუბიექტის მიერ ავტორისეული სამყაროს-გრძობად-ინტელექტუალური შემეცნების გარეშე. მართალია, დედანში სიტუაციებს გარკვეული აზრით მყარი ფორმა აქვთ, მაგრამ ისინი არ არიან შეუვალე კონსტრუქციები. მთარგმნელისთვის ისინი წარმოადგენენ ერთგვარ საყრდენებს, რომლებიც შესაძლებელს ხდიან, აზრი ახალ ენობრივ გარემოში გარკვეული მიმართულებით გაიშალოს. ასევე გარკვეულ საზღვრებში მოქცეული წყაროტექსტის გრძობადი მხარე, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ მას თარგმანში ნაკლები ხარისხის გარკვეულობა გააჩნდეს. სწორედ ასეთ შემთხვევებში მნიშვნელოვანია მთარგმნელის კონსტრუქციული შესაძლებლობები, რადგანაც შეგრძნებათა მოქმედება სპონტანურად უკავშირდება გონით ქმედებას და

წარმოშობს ახლებურად აქტიურ მხატვრულ-სახეს. ამ შემთხვევებითი უნარის შედეგად ისეთი მთარგმნელი ექსპერიმენტული სახეები და ფრაზები, როგორებიცაა: „მონაზენის მოსახსამში გახვეული შემოდგომა“, „და იჭრიალებს ვარდისფერი ყინულის ხორგი“, „იღამებს გული“, „ფერადი აპკი, მოცურავე, უსურვილოდ წამომღვრეული“, „არც ჩვენ ვიყავით, მაგრამ ნატვრამ აჯობა იღბალს“, „შენ არ მოკვდები ამ სიკვდილით, ბალბად რომ ყვავის“, „... გულს, განაფულს ხალხში ცხოვრებით“, „როდესაც გულის მისადგომებს მოვლიავენ“, „მე ვნახე, ღამის სავედრებლად ანვილიყენენ ცისკენ ფესვები“... გვხვდება აგრეთვე დასაშვები შიდაენობრივი ცვლილებები, რომლებიც თარგმნილ ფრაზას ქართული განცდის აურას უქმნის. ეს შეიძლება იყოს ზმნების გამოყენება, რითაც სტრიქონის დინამიურობა უფრო თვალსაჩინო ხდება; შეიძლება იყოს ერთი სემანტიკური ველიდან საუკეთესო ვარიანტის შერჩევა - არა „დალია“, არამედ „იგემა“, არა „გსვამთ“, არამედ „ვენაფეხით“. ხშირია ზედსართავი სახეების ფორმათა შეცვლა, რაც ლექსიურ ტრანსფორმაციასთან ერთად დამაჯერებელ მხატვრულ სახეს ქმნის: „Ein dunkles Blau wird zuteil deinem Haar...“ - „სილურჯეთაგან უზნელესი ჩაგედვრება გაშლილ თმაში...“ „Schwärzer im Schwarz, bin ich nackter“ - „სიშავეთაგან უშავესი ვდეგვარ შიშველი“ „Runder von Mal zu Mal. Ähnlicher. Fremder.“ - „მეტად მრგვალები ყოველ ბრუნზე, მეტად მსგავსნი. მეტად უცხონი“.

გარეობა

ცნობილია, რომ მიხეილ ჯავახიშვილი უბის ნიგნაკში იწერდა მოსწრებულ გამოთქმებს, ანეკდოტებს, ნაკვესებს და ა. შ.

მოვიტანო რამდენიმე: „გურული სახელები, ქალისა: ნამეტი, ხასიათი.

ვაჟისა: აგენტი, ემაჯიკა, ბიჭიკა, ჯარვანა. კახური სახელები ქალისა: მარადი, ჯერვანი.

ვაჟისა: მახარა. რაჭაში ქალისა: ლანდაუზა, ლაქლავარდი“.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ქალის სახელმა „მარიტა – (11 ს. კუმურდო) – ლეონიძე“.

(მიხეილ ჯავახიშვილი „უბის ნიგნაკები“, თბ., 2014, გვ. 215).

ლეონიძის გვარმა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში გამახსენა პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე, რომელთანაც მეგობრობდა მიხეილ ჯავახიშვილი.

როგორც პოეტის ქალიშვილი ნესტან ლეონიძე იგონებს – მიხეილ ჯავახიშვილი მათი ოჯახის ხშირი სტუმარი ყოფილა.

ეს ის დროა, როცა მიხეილ ჯავახიშვილი ისტორიული რომანის „არსენა მარაბდე-ლის“ დასაწერად ემზადებოდა და მასალას აგროვებდა.

მას აინტერესებდა XIX ს-ის პირველი ნახევრის ქვემო ქართლის ბატონყმური ურთიერთობის კონკრეტული ფაქტები, აქ კი ამ პერიოდის შეუდარებელი მცოდნე იყო გიორგი ლეონიძე.

ამიტომ ბუნებრივია, უბის ნიგნაკში ხშირად არის დამონმებული.

სანიშნოდ მოვიყვან რამდენიმე: „არსენა“ თავად სოსიკო გახლავს; მეტი კოდანა სუბიმივილი.

მაცნობა გიორგი ლეონიძემ: „არსენა“ სოლომონ ლეონიძე – ახალციხეს მოკლა 1815 წელს ბერძენმა მზარეულმა (ეკითხოს გიორგი ლეონიძეს); „საყელი“ ჯურხა ძველებურად ზრდაში ავარჯიშებს (გიორგი ლეონიძე „ს. ს. ორბელიანი“) და სხვ.

აღნიშნულ ჩანანერში „მარიტას“ გვერდით არის „კუმურდო“, ამიტომ გადავხედე კუმურდოს ქართულ ეპიგრაფიკას იმ ვარაუდით, იქნებ გიორგი ლეონიძემ ნახა (ან ვინმემ უთხრა) ეს სახელი, თორემ სხვანაირად გაუგებარია ამ საეპიგრაფიკო ტაძრის (ჯავახეთი) მოიხსენიება ჩანანერში.

კუმურდოს ქართული წარწერების შესწავლა პირველად მარი ბროსემ დაიწყო 1830 წელს.

ფრანგი მეცნიერი ერთხანს კუმურდოშიც დასახლდა წარწერების უკეთ შესწავლის მიზნით, მაგრამ ერთი პერიოდი შეწყვიტა მუშაობა.

1847 წელს კი განაახლა კვლევა-ძიება. მიღებული შედეგები გამოაქვეყნა 1850 წელს.

კუმურდოში ცხოვრების დროს ბროსე ერთ შემთხვევას იხსენებს: კუმურდოს რომ მივედი, აქ ერზერუმიდან შემოსახლებულმა (1830 წ.) სომხებმა კარგად მიმიღეს, მაგრამ როცა ვთქვი, კუმურდოს წარწერები ქართულია-მეთქი, სოფლის მამასახლისმა ჯობი მომიღერა – როგორ თუ ქართულიაო!..

ეს მამასახლისი, თავის მხრივ, „მართალია“, იმიტომ რომ XIX ს-ის 30-იანი

წლებიდან (თუ ადრე არა) მოკიდებული დღემდე, სომეხი მეცნიერები და სასულიერო პირები ერთმანეთს უშინებდნენ და ასევე ასე გრძელდებოდა, თანდათან, ჯავახეთის სომხურ სომხურია, ხოლო აქ არსებული ეკლესიები, მათ შორის, კუმურდო, სომხური სურათით მოძღვრების ძეგლიაო... თუმცა, რა შორს მივდივართ, აგერ XXI ს-ში სომხმა ისტორიკოსმა საველ კარაპეტიაძემ, არც აცია და არც აცხელა და ქართული არქიტექტურის შედევრი, მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი კუმურდო სომეხი წმინდანის ჰამბარძურის ტაძრად გამოაცხადა.

ამ ტაძრის აგების ინიციატორი – ქართველი, დიოფიზიტი, მართლმადიდებელი ეპისკოპოსი იოანე კუმურდოელი სომეხ პოეტიკოსს ეპისკოპოსად აქცია (იხ. ს. კარაპეტიაძე, „ჯავახეთი“, ერევანი, 2006, გვ. 313. სომხ. ინგლ. რუს. ენებზე).

კუმურდოს შემდგომ ისტორიას თუ გადავხედავთ, მისი ქართული ეპიგრაფიკის შესწავლა მეტ-ნაკლები ინტენსივობით თითქმის საუკუნე-ნახევარზე მეტხანს გრძელდება.

მას იკვლევდნენ ივ. გვარამაძე, ექ. თაყაიშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ვ. სილოგავა, ლ. ახალაძე და სხვ.

ჩვენი ძიების ობიექტის სახელი – „მარიტა“ კი ვნახეთ ვალერი სილოგავას მიერ გამოცემულ ტაძრის ქართულ წარწერებში (იხ. „კუმურდოს ტაძრის ეპიგრაფიკა“, 1994, გვ. 74, სქოლიო № 1).

ეს არის „მატრონი ელისაბაძის წარწერა № 23“ (1511–1515 წწ.). წარწერა განთავსებულია კუმურდოს დასავლეთ მინაშენის შესასვლელის ტიმპანზე.

პირველ ვარიანტში იკითხება „მარის“ მეორეში კი იკითხება „მარიტა“.

თუ დაუშვებთ, რომ ს ტ-ს ჰგავს და ჩვენაცვლა, ეს მოსალოდნელი არ უნდა იყოს, რადგან ასომთავრულში ისინი ერთმანეთს ნაკლებად ჰგვანან, დედანი კი ასომთავრულით არის შესრულებული.

თუმცა ამ შემთხვევაში ეს არ არის არსებითი.

ჩვენი აზრით, მთავარია ის, რომ კუმურდოს ეპიგრაფიკაში იკითხება „მარიტა“, რომელიც გიორგი ლეონიძეს სცოდნია ჯერ კიდევ 1935 წელს.

ეტყობა, ამ სახელის („მარიტას“) კუმურდოს წარწერებში არსებობის შესახებ პოეტმა უამბო მიხეილ ჯავახიშვილს, რომელმაც ჩაინიშნა უბის ნიგნაკში, რათა რომელიმე მოთხრობის გმირისთვის დაერქმია, მაგრამ ვერ მოასწრო – 1937 წლის 30 ოქტომბერს ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

როგორც ჩანს, გიორგი ლეონიძე ვერ იფიქრებდა ამ ლამაზ და რაღაც სევდიან სახელს და რამდენიმე ათეული წლის შემდეგ თავისი მოთხრობის მთავარ გმირს „მარიტა“ დაარქვა.

რაც შეეხება ნესტან რატიანის ვარაუდს, რომ მწერალმა „მარიტა“ მარტს (9, 1956 წ.) დაუკავშირა, შესაძლოა ასეც იყო, რადგან გიორგი ლეონიძეს მთელი სიცოცხლის მანძილზე თან სდევდა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის გაუნელებელი სევდა.

სასიკვდილო სარეცელზე მყოფს როცა ჰკითხეს – ხომ არაფერი გინდაო, – საქართველოს დამოუკიდებლობა მინდა, – უთხრა და გადავიდა მარადისობაში...

ბონდო არველაძე

ფურნალ „დილას“ რედაქცია მწუხარებით იუწყება, რომ რედაქციის თანამშრომელს მაგდა კვაჭანტირაძეს გარდაეცვალა დედა

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია თანაუგრძობს მაგდა კვაჭანტირაძეს დედის ნარგიზ ქარჩავას გარდაცვალების გამო.

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სახელმწიფო... ISSN 1987-9806... 9 771 987 980005



„ნოკო კი არ მღერის, ქარგავს, ქარგავს!“ – უთქვამს ავსტრიელი მეგრელიძეს. ნოკო ხურციას რეპერტუარში გამორჩეულია „უტუს ლაშქრული“, საცეკვაო სიმღერა „პარირა“.

ღმერთებს ნოკო ხელში აყვანილი მიჰყავდათ და, ჩვენდა სასიხარულოდ, საქართველოში ჩამოუვარდათო, – ამბობდა ნოდარ დუმბაძე. ეს „ჩამოვარდნა“ 1905 წლის 15 თებერვალს მომხდარა – ღმერთებს ნოკო, ჩვენდა სასიხარულოდ, საქართველოში, კერძოდ კი სენაკის სოფელ მენჯში ჩამოუვარდათ.

სოფელ მენჯში ხურციების გვარის სასიმილო ნიჭისა და მათი სახლიდან გამოსული მრავალხმიანი, ქართული, მეგრული, მუსიკის შესახებ ამბები თაობიდან თაობას გადაეცემა. რამდენადაც ცნობილია, ნოკოს ტკბილხმიანობა ბავშვობიდან გენეტიკურად დაპყობილია. შესანიშნავი მუსიკოსი ყოფილა ნოკოს მამიდა. წარსულში ადამიანები მეტად იყვნენ შეკრულნი, რადგანაც სოფელში ბევრი გასართობი არ არსებობდა – საღამოობით ცეკვა-თამაში დროის მხიარულად გატარების ერთადერთი საშუალება იყო. წარმოვიდგინოთ სოფლის ცენტრში დიდი ცაცხვის ხის ჩრდილქვეშ შეკრებილი ხალხი, ზოგი ხის მორზე, ზოგიც ინახით მჯდომარე, ცენტრში მსხდომი მომღერლები და იქვე ჩვენი სოფლის მამიდა – ნოკო ხურცია. ჭალების მამიდასა და სახელდებულ ნოკოს წერილა ხმა ჰქონია – მას ხშირად წაა-

სუნთქვა მიაქვს ლერწმის ლერწმს ნოკო ხურციას გახსენება

თამამებდნენ თანასოფელნი და ნოკოც არასდროს ტოვებდა მათ განხილებულს. ცხოვრებაში ქუდბედიანობაც საჭირო რამ არისო. სწორედ ასე, სოფლის ჭალებიდან გამომავალი და დიდი გზებისკენ მიმავალი ჭაბუკი თავისი ცხოვრების გზაზე შეხვდა ცნობილ მუსიკოს მასწავლებელს, ვალერიან გეგეჭკორს; ამის შემდეგ ნოკოს ხმით მოხიბლული ლოტბარი, რემა შელეგია სთვაზობს მას თავის გუნდში სიმღერას. ნოკოს დიდი მადლიერების განცდაც ჰქონდა იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც ის გზაზე დააყენეს. მას არასოდეს დაეინყებია თავისი დიდი მასწავლებლის რემა შელეგიას ღვაწლი – ნოკო ვერ დაესწრო მასწავლებლის დაბადებიდან მე-60, ხოლო შემოქმედებითი მოღვაწეობის მე-40 წლის აღსანიშნავ იუბილეს, რის გამოც ლექსი გამოგზავნა:

ჩემო ძვირფასო რემაო, სიმღერამ დაგამშვენაო, მან მოგცა შნო და ლაზათი, ხალხური აღმადგინაო.

საბედნიეროდ, ნოკოს ხმის მოსმენა დღემდე შეუძლია ფოლკლორით, ქართული ხალხური კულტურით დაინტერესებულ ადამიანს.

ნოკო ხურცია გამორჩეული იყო თავისი ხმით (ტენორი), პოეტურობით, არტისტიზმით... ბევრი რამის გახსენება შეიძლება 1932 წლიდან, როდესაც ნოკო დაბრუნდა ქალაქ სენაკში და ისევ რემა შელეგიას ანსამბლში მღერის. როგორც გრიგოლ კოკელაძე იხსენებს: „ყოველთვის ცდილობდა (ნოკო), ანსამბლის საერთო ხმოვანება მაღალმხატვრულ დონეზე ყოფილიყო. მისი რეპერტუარი საქართველოს რომელიმე კუთხის სიმღერებით არ ამოიწურებოდა. მას ზედმინვნით ჰქონდა შესწავლილი საქართველოს ყველა კუთხის (ქართლ-კახური, აფხაზური, რაჭული, სვანური, გურული და სხვა) ხალხური სიმღერები, რომლებსაც სათანადო კოლორიტი და დამახასიათებელი იერით ასრულებდა.“

აქვე, შეუძლებელია, ერთხელ მოუსმინო და არ განცვიფრდე ნოკოს მიერ შესრულებული სიმღერებით: „თემ ილბალი“, „ჭიჭი ტურა“, „სი ქოული ბატა“, „ართი ვარდი“ და სხვა.

მსურს, „ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველს რამდენიმე მნიშვნელოვანი მოგონება გაუზიარო ბორის შენგელიას მიერ შედგენილი ნიგანიდან „სიმღერის უკედევბა“, რომელიც ნოკო ხურციას ეძღვნება. ამ მოგონებებს უცვლელად გთვავობთ:

ჯანსუღ კახიძე: „ქართული სიმღერის – ამ უნიკალური ფენომენის – ჯადოქარი გახლდათ ნოკო ხურცია. მისი უმაღლესი ტალანტი მარტო სოლისტობით როდი შემოიფარგლებოდა. იგი უდიდესი იმპროვიზატორი, შესანიშნავი შემოქმედი გახლდათ. მისი სიმღერა და შეიხზული მხოლოდ საოცრებას შეიძლება შევადაროთ. იგი უკედავი იქნება, როგორც თვით ქართული სიმღერა.“

ანანია ერქომანიშვილი: „არ იყო და არ იქნება ნოკოსავით მომღერალი.“

ანზორ ერქომანიშვილი: „ნოკო ხურცია XX საუკუნის მომღერალია. ბაბუა პირადად იცნობდა დ. ანდლულაძეს, ვ. სარაჯიშვილს, ნ. ხურციას. ნოკო უბადლო შემსრულებელი გახლდათ, მღელვარებას იწვევდა მისი ხმა, შესრულების მანერა, იმპროვიზაციის საოცარი ნიჭი და უნარი.“

ვალერიან გეგეჭკორი: „სიმღერა ბევრმა იცის, მაგრამ ეს ბიჭი სულ სხვაა.“

ნოკო ხურცია სრულიად ახალგაზრდა 1949 წლის 26 ნოემბერს გარდაიცვალა, მაგრამ მისი ხმა საუკუნოდ დარჩება – ღმერთებს ნოკო საქართველოში ჩამოუვარდათ, ეს ჩამოვარდნაც ხანმოკლე იყო, რომ მისი ღვთაებრივი ხმის მოსმენის შესაძლებლობა გვექონოდა, 44 წლის ასაკში კი ის კვლავ ზეცის მკვიდრი შეიქნა. დასასრულს გთვავობთ ერთ სტროფს პოეტურ ჯიშკარიანის ლექსიდან:

ახლა, როცა ქარს და ნიავს სუნთქვა მიაქვს ლერწმის ლერწმს, მე მგონია, თეთრი ჩოხით, გზად ხურცია მოიმღერის.

პოთა ყურუა

მთავარი რედაქტორი ივანე აპირხანაშვილი... ზანდუკელის №1; ტელ.: 293 69 77 E-Mail: litsaqartvelo@yahoo.com